

დავით დეფი



აბსოლუტური ნიუ იორკი



დავით დავი

აგსოლუგური ნიუ იორკი

საქართველოს
უნივერსიტეტის გამომცემლობა
THE UNIVERSITY OF GEORGIA PRESS
2015 ©

 **David Dephy**

**Absolute New York
Poetry**

ნავიგატორები:

ჯული ანდლულაძე
ნინო სუარიძე
ნათია დვალიშვილი
დავით დვალიშვილი
რობი ხარაზაშვილი

ყდის დიზაინი:

რატი ოჩიგავა
ლევან ნიქარიშვილი

ფოტო ყდაზე:

Ledig House Photography New York ©

ISBN 978-99940-50-98-7

ყველა უფლება დაცულია ©

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
2015 ©

ქეთის ჩემს ცოლს

აბსოლუტური ნიუ იორკი
ABSOLUTE NEW YORK

სიტყვა წარმოთქმული ნიუ იორკში
ანტერბერგის მსოფლიო პოეზიის დარბაზში
ლექსინგტონ ავენიუზე ლორი ანდერსონთან
სალმან რუშდისთან და იუზეფ კომუნიაკასთან
ერთად გამართული მუსიკისა და პოეზიის
ცოცხალი წარმოდგენის დროს “მეორე კანი”
ასევე მონაწილეობდნენ ჯონ ბერნსაიდი, პია
ტაფდრაფი, ხუან კარლოს მესტრე, ერნესტო
კარდენალი, ენტონი და ჯონსონები,
ხოაქინ სარტორიუსი, ანდრჟი სოსნოვსკი.
ამერიკის პენ ცენტრი.
ნიუ იორკი.

გამარჯობა.

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო
ბატონ დიდაბლ იუ გიბსონს, ჯოშუა ფარსტს, ლასლო
იაკაბ ორსოსს, ლედიგ ჰაუსის დირექტორებს, ამერი-
კული პენ ცენტრის დირექტორს ჩემი მონვევისთვის,
დიდი მონდომებისთვის, გულისხმიერებისთვის და
ყურადღებისთვის. მათ ყველაფერი გააკეთეს რომ მე
ახლა აქ, ასეთ მნიშვნელოვან და საპატიო ადგილას
ვყოფილიყავი და თავი ნამდვილად მეგრძნო მსოფ-
ლიო მოქალაქედ.

ვფიქრობ, მიუხედავად ენობრივი, სოციალუ-
რი თუ ეთნო - კულტურული განსხვავებებისა, ლი-
ტერატურას საზღვრები მართლაც არა აქვს და ჩვენს
ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ისევ და
ისევ ჩვენი სურვილია, სამყარო უკეთესი გავხადოთ.
ამას კი უკეთესი საშუალებებით მივაღწიოთ.

ვგულისხმობ თვითონ პოეზიას.
მე იდეალისტი ვარ. პოეტი, რომანისტი და

პერფომერი. წერა ოცდაოთხი წლისამ დავიწყე. ახლა ორმოცდაორის ვარ. 2004 წელს, ვარდების რევოლუციის დროს, მე დაუმორჩილებლობის კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი.

პარალელურად წლების განვმავლობაში ვმუშაობდი ჟურნალებში, გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში, სადაც ჩემი საავტორო თოქ-შოუები მქონდა და რამოდენიმე მხატვრულ ფილმშიც შევასრულე მთავარი როლი. მათ შორის ოთარ იოსელიანის ფილმშიც.

ჩემი ცხოვრების მთლიან დროს, მე მხოლოდ ლიტერატურას ვუთმობ და ყოველდღე ვმუშაობ, როგორც პროზაზე, ისე პოეზიაზე. საბედნიეროდ, ჩემ ქვეყანაში ლიტერატურა ძალიან უყვართ და ზოგჯერ, გაყიდული ჩემი წიგნებიდან მიღებული ჰონორარით, იმედი მეძლევა რომ, მატერიალურ სამყაროში ლიტერატურული შრომითაც შესაძლებელია ცხოვრება...

მე ბედნიერი ვარ, რომ პოეზიით და პროზით, სხვა ადამიანებისთვის, ჩემი განცდების გაზიარების საშუალება მაქვს და როგორც მწერლის არსებობისთვის, ყოველდღიურობასთან გაუთავებელი ჭიდილის მიუხედავად, დანებებას ჯერ არ ვაპირებ.

ჩემი ასეთი იდეალისტური გამძლეობისთვის, ღმერთს ყოველდღე ვწირავ მადლობას, რადგან ერთნაირად შთამაგონებს კარგი და ცუდი მოვლენა. საგნების შინაარს მაშინ ვიგებ, თუ საფუძვლიანად შევისწავლი მათ და ეს ძიებაც აღმაფრთოვანებს. ორი წლის წინ, 2008 წლის აგვისტოში, ჩემ ქვეყანაში ომი იყო. რუსეთმა ხელახლა სცადა საქართველოს დაპყრობა. რუსულ აგრესიას, მაშინ სამოქალაქო სოლიდარობის შტაბის ლიდერის როლში ვუპირისპირდებოდი და თბილისში, რუსეთის

წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო მიტინგებს ვმართავდი. ქვეყნის 20% ახლაც მათ მიერაა ოკუპირებული...

შარშან მე რომანი დავწერე და გამოვეცი. წიგნის სახელწოდებაა “ბალები”. იგი სწორედ ამ თემას ეხება და სიკეთისა და ბოროტების კონფლიქტს. გაუთავებელ კონფლიქტს, როცა მსხვერპლი, ასეთ დროს, ყოველთვის უდანაშაულო ადამიანია.

რატომ ხდება ასე? რატომ არ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, სიკეთემ სამუდამოდ გაიმარჯვოს?

რუსების მიერ, ომში, ტყვედ აყვანილი და დახვრეტილი ერთ-ერთი ჟურნალისტი, ჩემი მეგობარი იყო. მეორე ჟურნალისტი, გოგონა, პირდაპირი ეთერის დროს, ხელში, სნაიპერის ტყვიით დაიჭრა. მას რამოდენიმე წუთის წინ სწორედ ჩემგან ჰქონდა ინტერვიუ აღებული...

მესმის, რომ დრო და ისტორია ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, სამყაროში მართლაც ყველაფერი წარმავალია, ასეთი უკვდავი წამების გარდა, როცა ადამიანი სხვისთვის თავს სწირავს. როცა თავს სწირავს თავისი და სხვისი თავისუფლებისთვის. ასეთი თავგანწირვაა ჩემთვის პოეზია და ის ძალიან რეალურია, ნამდვილია, ხელშესახებია.

ვფიქრობ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა, პოეტები და მწერლები, ჩვენი ნაწარმოებებით, ჩვენს მკითხველებამდე და ზოგადად დღევანდელი მსოფლიოს საზოგადოებამდე, ზუსტი და გასაგები გზავნილი მივიტანოთ და ვეცადოთ, სამყაროც უკეთესი გახდეს, ყოველი ჩვენგანისთვის უძვირფასესი სამი სიტყვით გაერთიანებული – სიყვარული, თავისუფლება, პასუხისმგებლობა.

სწორედ ამ სამ სიტყვაზეა აგებული ყველა ჩემი რომანი და პოეზია.

მე ამ სიტყვებით ვარ შთაგონებული და ლიტერატურული გამომხატველობის უახლეს ფორმებს, სწორედ ამ სიტყვების ყოველდღიური გააზრებისას ვეძებ.

თანამედროვე პროზა და პოეზია... ვუნოდოთ მას გნებავთ, ნეო ნეო-რომანტიზმი, ნეო ნეოსიმბოლიზმი, პოსტ-მოდერნისტული მისტიკა ან ნებისმიერი სხვა ტერმინი, ვფიქრობ ნამდვილი ხელოვნებაა მაშინ, თუ ის უნივერსალური სიმართლეა ყველასთვის და რაც არ უნდა მწარე იყოს, ის მაინც უნდა ანუგეშებდეს და აიმედებდეს ადამიანს. რადგან სამყარო ჯერ კიდევ სავსეა ტერორით, შურით, ანგარებით და ეგოიზმით.

ამიტომ ვფიქრობ, სამყაროს აქვს შანსი გახდეს უკეთესი, რადგან ის თუ საშინელია, ალბათ მხოლოდ იმიტომ რომ ადამიანები არა ერთმანეთს ვლალატობთ, არამედ საკუთარ თავსა და მონოდებას ვლალატობთ. ჩვენს იდეალებს ვლალატობთ და ხშირ შემთხვევაში ეს ძალიან კარგად გვესმის.

მე არ ვარ კრიტიკოსი ან ენათმეცნიერი. მე მწერალი ვარ, პოეტი და ვაცნობიერებ, რომ - გნებავთ სიყვარული და გნებავთ პოეზია იმხელა ცნებაა, ის მხოლოდ ჩემი პირადი საქმე ვეღარ იქნება... რომ თუ კარგად გავიაზრებ რით და რა საშუალებებით მინდა გამორჩეული ვიყო, მაშინლა მივხვდები თუ ვინ ვყოფილვარ სინამდვილეში... რომ ყოველი სიტყვა ცოცხალია და ჩვენც ცოცხლები ვართ, სანამ ერთმანეთის გვესმის, სანამ ერთმანეთის გვჯერა და იმისიც, რომ თუ ჩვენ შინაგან სამყაროში და ასეთი მრავალენოვანი კაცობრიობის მეტყველების ლექსიკონში გადარ-

ჩება სიტყვა პოეზია, სიყვარული, თავისუფლება
და პასუხისმგებლობა, მაშინ გადარჩება სამყაროც.

ჩემთვის ესაა ლიტერატურის დანიშნულება
და ჩემი, როგორც პოეტისა და რომანისტის არსებო-
ბის გამართლებაც.

დავით დეფი 29 აპრილი 2011 ნიუ იორკი

The speech which was performed by David Dephy at the Unterberg Poetry Center of the 92nd Street Y New York during the joint live The Second Skin with Laurie Anderson Salman Rushdie Yusef Komunyakaa and John Burnside Pia Tafdrup Juan Carlos Mestre Ernesto Cardenal & Antony And The Johnsons Joachim Sartorius Andrzej Sosnowski. PEN American Center. New York.

Apr 29, 2011

Ladies and Gentlemen,

First of all, I would like to thank Mr. DW Gibson, Joshua Furst and Lazlo Jakab Orsos for inviting me, for their great efforts, their kindness and consideration. They did everything in his power to enable me to be here, at this significant and honorary place and to make me feel a citizen of the world.

I think that despite language, social or ethno-cultural differences, literature actually has no borders and the most important thing in our relationship is our wish to make the world a better place. And we must achieve it by better means.

I mean poetry itself.

I am an idealist, a poet, a novelist and a performer.

I started writing at the age of twenty-four. Now I am forty-two. During the Rose Revolution in 2004, I was one of the leaders of the Disobedience Committee.

At the same time I worked for magazines, newspapers, radio and television, where I had my own talk-shows. I also played the leading roles in feature films, among them in Otar Ioseliani's film.

I devote all my time only to literature and work both on prose and poetry every day. Fortunately literature is very much loved in my country and thanks to the royalties, gained by my sold-out books, I feel hopeful that it is possible to live by means of literary work in this material world.

I am happy that I can share my emotions with the other people via poetry and prose and despite everyday struggle for my existence as a writer, I am not going to give in, not yet.

Every day I thank God for my idealistic endurance, as I am equally inspired by a good and bad event. I perceive the meaning of things only if I thoroughly study them and this research inspires me.

Two years ago, in August of 2008, there was a war in my country. Russia made another attempt to conquer Georgia. I opposed Russia's aggression as the leader of the Civil Solidarity Headquarters and arranged protest meetings against Russia in Tbilisi. 20% of my country's territory is still occupied by Russia.

Last year I wrote a novel "The Gardens And The Pandemonium" and published it. It touches upon this subject and the conflict between virtue and evil, the endless conflict, when the victim at this time is always an innocent man.

Why does it happen so? Why isn't it possible, that one fine day the virtue should win for ever?

One of the journalists, imprisoned and shot by the Russians was my friend. Another journalist, a young woman, was wounded in the hand by a sniper's bullet, when she was reporting live. Several minutes before she had taken an interview from me.

I am well aware that time and history will give everything adequate names, as everything passes in this world, except such immortal seconds, when a man sacrifices himself for others, when he sacrifices himself for his own and other people's freedom. Poetry is such a sacrifice for me and it is very real, true and tangible.

I think that it depends only upon us if poets and writers manage to reach our readers and generally the society of today's world, to get the exact and clear message by our works and try to make the world a better place by uniting the three precious words for all of us – Love, Freedom and Responsibility.

It is on these three words, that all my prose and poetry depends on.

These words inspire me and I try to find the newest forms of literary expression by means of perceiving them every day.

The contemporary prose and poetry - call them neo neo-romanticism, neo neo-symbolism, post-modernist mysticism or any other term, I think that art is authentic if it is based on universal truth for everybody and it must comfort and give hope to a man, although it might be bitter. Because the world is still full of terror, envy, avarice and selfishness.

Therefore I think that the world has got a chance to become better, because if it is terrible, it is due to the

fact that we, people do not betray one another, but we do betray ourselves and our vocation. We betray our ideals and very often we are very well aware of it.

I am not a critic or a linguist. I am a writer, a poet and I realize that much is demanded from me, but not much is forgiven to me... That take Love or take Poetry, they are such enormous concepts, that they can't be only my personal matter... That if I realize by what means I want to be special, then I'll understand who and what I am in reality... That every word is alive and that we are alive too as long as we understand one another, as long as we believe one another and also that if in our inner world and in this multi language dictionary of the mankind survive the following words such as, Poetry, Love, Freedom and Responsibility, then the world will also survive.

For me this is the mission of literature and of mine as a poet's and novelist's justification for existence.

David Dephy
Apr 29, 2011
New York

გაუინ ვერ გითხარო

დიდი ხანია შენთვის არ მომიწერია...
როგორ ხარ? რას შვრები? ან რა ამბები...
იცი, მონატრებაც ხან მომწამვლელია,
მთქნარებასავით ზოგჯერ გადამდებიც...

მახსოვს ის დღეები, როცა კი ვასწრებდი
შენ კოცნას, რომელსაც ტუჩთან გიშიშვლებდი...
და ახლაც არ ვიცი რა არის ასეთი,
მონატრება თუ ბავშვური შიშები...

ერთხელ შენ სახლთან ღამით ჩავიარე,
იმ დღიდან თან დამდევს მთელი ის ღამე,
დრო ხან მილოლავს და ხან კი ჩქარი არის
და თითქოს თავიდან ისევ შეგიყვარე...

მინდოდა ამოსვლა, ბევრი რამ მინდოდა,
მაგრამ ჩემ სურვილებს თავი დავანებე,
მე ხომ ყველა წამი მახსოვს იმ დროდან,
როცა შენთან ყოფნა გავდა სავანეზე

გადაფენილ ნისლებს, რაღაც დიდ სიმშვიდეს,
რაღაცა უთქმელს და ყოველთვის სანატრელს,
ახლა მე ისე ვარ თითქოს დროს ვიფშვნიდე
და თითქოს მახსოვრობას იმ დღეებს ვპარავდე,

როცა კი მივხვდი, როგორ მყვარებიხარ,
როცა გადავიდა ის დროც და ის სურნელიც,
სურნელი შენი დამყვა ასე დიდხანს,
დიდხანს შენთან ყოფნას ახლაც ვისურვებდი,

მაგრამ მეძახის, მიხმობს ის ერთი,
ის ერთი მნათობი სადღაც შორეთიდან,
მე ხომ მის სინათლეს ყოველთვის მივდევი,
გზად კი შენ შემომხვდი და თქმა მომერიდა.

დ. 19 იანვარი 2011

საქუნოლ

მე რომ სული მყავს, მე ვყავარ ჩემ სულს?
მე რომ გიყურებ განა შენ გხედავ?
ნუთუ ჩემსავით შენც იგივე გსურს,
ნუთუ ჩემსავით ღამეთა, დღეთა,

განიცდი აღსასრულს და ღმერთს აღმერთებ,
სხვა ვინმე მოკვდავის შეძლებ გაღმერთებას?
ნუთუ გიყვარვარ და გზად აღმართებს
ერთად ავყურებთ. მალე გათენდება.

საგნებს მივხვდებით მიუხვედრელად,
შუქებს ერთმანეთს ვაბნევთ მძივებად
და ღვთაებრივებს ღვთიურ კედლებთან
ლოცვის გარეშეც ჩაეძინებათ,

კედლებიც თანდათან შემოგვიქრებიან,
ჩვენი სხეულნი, ძვალნი და ხორცნი,
აქ თუ გავქრებით სიტყვებ-ფიქრებიან
სადმე გავჩნდებით. ოცნებას მოვრჩით.

აქ კი სამუდამოდ ველარ გავჩერდებით,
რა ვქნათ, ასეთია დიდი ჩანაფიქრი
და ჩვენი ნებით ანდა განაჩენით
სადაც კი ნავალთ განა იქ არ ვიტყვით,

რომ ტყუილ-უბრალოდ არ გვიცხოვრია,
გვაცხოვნოს ღმერთმა, სიცოცხლე ცხოვდეს
და მთელ სამყაროს ნაცრემლ-ბროლიანს
გულით ვიტევდით, გული კი მცოდნე

ყველა კითხვის და ყველა პასუხის
ყველა ჩვენ სუნთქვას გზად გამოყვება,
ზოგჯერ სიკვდილიც სიცოცხლეს უდრის
თუ ჩვენი მტრებიც იქცნენ მოყვრებად.

რაღაც უჩინარმა და უთვისებომ
ნისლი აძერწა ფერდობ-საძოვრებს,
წამით მოვკვდი და მოვკვდი ისე რომ
თითქოს ეს წამიც მთელ დროს აჯობებს,

მივხვდი, ერთმანეთს სანამ ვიყვარებთ,
მანამ აგვიტანს ზეცაც თავისთან,
არც ისე შორია თურმე იქამდე
ჩამოვიდა და ისევ ავიდა,

მთელი სამყარო და ყველა არსი,
ყველა სულდგმული, წმინდანიც ყველა,
ჩვენ ერთმანეთით ჩვენ სულებს ვავსებთ
და სამყაროსაც მგონი ეშველა,

დავბრუნდეთ ისევ, ხელახლა ვიშვათ,
პირსახედ ღვთისად, შუქთა მიძივებად,
აქ საუკუნოდ ჩაძინებულებს
იქ საუკუნოდ გაგვეღვიძება.

დ. 26 იანვარი 2011

ნანგრევებთან

შეტყობინება მივიღე,
ამბობდნენ –
თავს უნდა ვუშველო,
რაღაც მოხდება,

ბედისწერანი,
მკვდარნი ამ დრომდე,
ძველი ეპოქის
იქცნენ ოდებად.

ოდები იქცნენ
სიჩუმეებად,
ანტიკის ფრესკებს
სიზმრად ეუფლენ,

დრო წელთაღრიცხვას
გადაეწვება,
დრო წარმავალი
და დიდმეუფე,

ანგრევს, აშენებს
და ისევ ანგრევს,
დამთავრდა დაიწყო
დაიწყო დამთავრდა

და საუკვდავე
წყაროთა ნანგრევს
დაცლის და ავსებს,
ისევ თანდათან,

აღმოაცენებს
ქვებს და ბალახებს,
ან ძალზე ნელა
ან უსწრაფესად,

გაგიკვირდება
და პირს დააღებ,
ტბასთან იხილე
თითქოს ქალთევზა,

ნანგრევებთან მდგარს
სუნთქვა შემეკრა,
თითქოს ეს ხილვა
ჩემთვის დათმო დრომ,

ჩვენც მოვკვდებითო
უთქვამთ ღმერთებსაც,
მათ ხსოვნას მინდა

შევესათნოო,
შეტყობინებას
მე ექო მაძლევს,
ყველა დროიდან
და ყველა მხრიდან,

ვღებულობ სიჩუმეს
მე, როგორც ანდერძს
და სიტყვებშორის
სხვა სიტყვებს ვხედავ,

პირს მერამდენედ
იბრუნებს მინა,
მერამდენეჯერ
დროც შეიცვლება,

ცაც თითქოს მტვერთა
სავანედ იქცა
და ღრუბლებს ვითვლი
ძველთა ფიქრებად,

სევდა კი ბინდში
გულწითელი თრთის,
ვინმეს შევხვდები
როგორც შორით ხმას,
კვლავ შევიყვარებ
უნინდელივით,
მაგრამ თავს უკვე
აღარ მოვიკლავ.

დ. 28 იანვარი 2011

ვერ წარმოიდგენ

ვერ წარმოიდგენ, როგორ გიხდება,
მუსიკა... მუსიკა...
ნამდვილი მუსიკა,
როგორც ღვთის ნებას ვერ წარმოიდგენ
სიჩუმე... სიჩუმე...
სიჩუმეც იქნება

ჩვენი სიტყვების და ფერებს შორის
თითქოს მშობიარე ცოცხალი ბგერის,
მე ყველა სურვილს ერთად მოვიშორებ
ვერ წარმოიდგენ, როგორ გერიდები,
რომ არ დაგამძიმო ჩემი სიმსუბუქით,
რომ არ მოგეჩვენო უფრო გამჭვირვალედ
ვიდრე ჰაერია, ჩრდილად დავიმუქე
ლამე ჩემ ტანზე და დილით ვამჭვირვალე,
აინთო თითქოს და დაიწვა იქვე,
ვარსკვლავი სიზმრად ნანახი მართლაც,
რა სიმშვიდეა, ვერ წარმოიდგენ,
სიჩუმე ჩემში ხმას როგორ ქარგავს,
გისმენ, შენთვისაც მარტო როცა მღერი,
მე შენს ხმოვანებას დიდ მანძილზე ვიგებ,
თითქოს გადავთვალე ლამენი და დღენი,
უცნაურად გავდნენ სამეფლისო ნიღბებს,
შენი სურნელების ფერიც კი ვიცანი,
ის ხან წითელია, ლურჯი ათინათით,
ხან კი ოქროვდება, მე მაქვს გულთმისანის
უცნაური ჩვევა და სულს გაგინათებ,
სინათლე განა შუქის გავს ნიშანს?
თუმცა შუქიც თრთის იქაც და აქაც,
ხმა, როცა სიჩუმეს გარშემოიწნავს,
სიჩუმეც, როცა ხმებს დაიქარგავს.

დ. 5 თებერვალი 2011

დღეგლე

მიტხარი, მართლა, მიტხარი რისთვის,
ჩემი მესსია ჯვარს რატომ აცვეს,
მიტხარი, მართლა დნება და ინვის..?
დღეს შუალამე, ნაგვემს და ნაცემს

თუ ასე მოჰგავს, მართლაც და რატომ,
მართლაც და რატომ, რატომ გავს წასვლა
სიზმარში წასვლა რატომ გავს სიკვდილს
გავლილი დღენი მძივების ასხმას,

მიტხარი, მიტხარი, ცოდნა მჭირდება,
ნამდვილი ცოდნა სულ ერთი წამით,
მიტხარი რას ნიშნავს სიტყვა ღვთის ნება
თუ კი სუნთქვანი უჩემოდ წავლენ
ჩემი სულიდან და სხეულიდან
და მათ დინებას ახსნა არა აქვს,
თუ ერთი სუნთქვა გარს შეუვლიდა
მთელ დედამიწას, მძივების ასხმას,

ხომ მოვიდოდა ისიც შენამდე,
ჩემ ვინაობას ხომ გაიგებდი,
რაფაზე ყვავილი სწორედ მე დავდე
მტკიცებულება, ყოფნა იმქვეყნის,

თუმცა მე არ მსურს არაფრის განგებ
რამის მტკიცება, დარჩენა, წასვლა,
თუ სუნთქვა ჩემი შენ ვერ მოგაგნებს
და შეუერთდა მძივების ასხმას,

ალარ გამანდო მესსიის ბედი,
დღეს სიის მიხედვით წამები ავთვალე,
მე იმ სუნთქვებსაც კვალდაკვალ მივდევი
გამოღვიძებულს და განამთვრალეებს,

რომ შევეფეთე საკუთარ სახეს,
სხვა ცხოვრებიდან ჩემთან გადმოსულს
და რომ სიზმრიდან თვალეებს გაახელს
ცაც, საკოცნელად თითქოს მთა რომ სურს

და რომ ჩამოდის და რომ ეშვება
და ყველაფერი აშკარა ხდება
და სინამდვილეც ჭკუის შემშლელად
ჩემივე სუნთქვამ გამალა ხმებად,
ბგერებად გაანყო, შინაარსებად,
ყოველი ფერი გარშემომიწყო
და გულისცემაც ჩემშივე მღერის
და პასუხებიც ვიგრძენი თითქოს,
ჩემივე კითხვებზე, ეჭვებიც გამიქრა,
ჩემ წინათგრძნობებს რა ძალით ვენდე,
როცა გავჩუმდი მესმა ნამის ხმაც,
ეჟოდ, რომ მოსდევს სიტყვებსაც ღღემდე.

დ. 27 მარტი 2011

გამომეღვიძა

გამომეღვიძა სიმღერით, ღიმილით,
მივხვდი, ჩემივე თავს ვესიზმრები,
ჩამესმის ზმნების შორისი სიჩუმე,
ტალღებიც მიწყდნენ თითქოს ზღვის ნებით,

ჩემი სიზმარიც ცხადად გადმომყვა
გამოვიღვიძე და უსასრულო
ეს წამი სიცოცხლეს და სიკვდილს ერთად
მინდა ვაჩუქო და ვუსახსოვრო,
აქ თავს მარტოდ ვგრძნობ,
აქ რადგან არ ხარ, ჩამესმის ზმნები
და მომაშიებს, მე თუ ჩემივე თავს
ვესიზმრები, იმავე სიზმარში გიპოვნე შენც.

დ. 31 აპრილი 2011

NEW YORK

I

მე ნიუ იორკი შიგნიდან გავალე.
მე მასში შევედი გასაღებივით.
თუ რამე გავალე შენთვის გავალე.
თუ რამე გავალე აღარ ჩამიკეტავს.

და როგორც ბავშვი თვალებს გაახელს
და როგორც ხედავს ირგვლივ სამყაროს
და ხელს ნაავლებს სულის გასაღებს
და გაყურდება მშობელის მკერდთან,

ისე იყურა ყურემ მანჰეტენის,
სულზე დამსიზმრა მასთან ყოფნისას,
მე თვით მასპინძელს ჩემივე ბედის
თავთან სტუმრობაც წამით მომინდა,

დგომა და ფიქრი და შეკვივლება,
გადასახედთან სამყაროს კიდეზე
ცასთან შეკიდული ყოველი ხიდის
მიღმა განდინებაც სულთ ვისქესე,

ნიუ იორკ, ნიუ იორკ, აქაა სიბრძნე,
ვისაც გონი აქვს იგი გამოიცნობს,
ვინც რამეს მოითხოვს ასმაგად მისცემს
ნიუ იორკ, ნიუ იორკ, ღამდება თითქოს,

იქვე დაღამებით თენდება თითქოს
და გათენება დიდ შვებას წააგავს,
როცა სხივებზე სხივების ანათალს
თანავარსკვლავედი თავისთან ითხოვს,

დამაქვს ვარსკვლავეთის არქიტექტურა,
აქეთ ბრუკლინია, იქით ჰარლემია,

ის მთელ პლანეტას გადაეხურა,
წამით ქრებიან და ისევ მაღლდებიან,

ბედისწერანი ყველა სულდგმულთა,
ის იმხელაა ქალაქი გაშლილ
დედამინაზეც ეტევა როგორც
თვით დედამინა ეტევა მასში.

2

ნიუ იორკ, ნიუ იორკ, აქაა სიბრძნე,
დანიშნულება ყოველი კაცის
და არსებობა ადამიანთა,
სევდამ ინათა, რიჟრაჟით მანვიმს,

ანდა ნანვიმარ შუქებს რა აჩენს,
თუ არა წვეთნი გზად მოცეკვავე
და თითო წვეთში კაცთა ბედი ჩანს
გზაჯვარედინები და ოცნებანი,

ქვათა მიმოფანტვის ჟამი მოვიდა,
როგორც ნიუ იორკს ადევს გვირგვინი
შენც გვირგვინდები ერთი ორიდან,
გამარჯვებამდე რომ მიირბინე,

რომ აგახედა მწვერვალმა თავისთან
და რომ იბრწყინე დიდ მწვერვალებზე
თუ რამ მოვიდა აღარ წავიდა
სანამ შენ თვალებს კვლავ გაახელდე,

სიზმარი ახდა, სიცხადე ახდა,
ნაბიჯებს ადგამ და მინანქრიან
ზღვარზე დადგები სამყაროს კართან
დგახარ და სუნთქავ და გიხარია

და თუ მარტო ხარ, შენ სიმარტოვეს
ცაზე ადარებს ყველა ერთ ღრუბელს,

დროებით ვინმეს თუ თავს ათხოვებ
ის სამუდამოდ თავსვე გიბრუნებს,

ნიუ იორკ, ნიუ იორკ, ყოველი წამი
გეძვირფასება როგორც არასდროს,
გინდა ქუჩებში ვიაროთ წამო
და ერთმანეთიც ასე გავათბოთ,

სხვა დრო არა მაქვს არავითარი,
მე ათასწლეულს თითებზე ვთვლიდი,
ათი საუკუნე გადავითვალე,
ათივეს ერქვა ნიუ იორკ სითი.

დ. 6 მაისი 2011 ნიუ იორკი

შენ

ზოგჯერ სიზმარი თავს ისე იხდენს
სიცხადის მკერდზე, მუდამ მიძივებს ცვლის,
გასაოცარი თვითონ ცხოვრება
ნამდვილი არა, უნამდვილესი,

შენს ირგვლივ ჩნდება და შენი ხდება
ვერცხლს რომ ოქრონი გადაუმრავლოს,
სრულყოფილდება სიჩუმე ხმებად
და თუ რამეა ქვეყნად უნაკლო

შენ გემსგავსება, ო როგორ მომწონს
მსგავსება შენი, სინამდვილესთან
და სიჩუმეზე ხმებად გადანწულს
წამით აქ ყოფნაც მიაღვილდება,

სამყაროც წამით რატომ შეიქმნა,

სწორედ მე და შენ რატომ ვართ მასში
და უნაზესი სიჩუმეც ხმებად,
მუსიკის ხმებად თავისთავს აშლის,

საიდუმლონი უკვე გამჟღავდნენ,
შენ ხელისგულზე მარგალიტებს თვლი,
დროს საოცარი მოსტაცე ნამი,
ნამდვილი არა, უნამდვილესი.

დ. 9 მაისი ნიუ იორკი

Have A Nice Day

Have a nice day, გეტყვის გამვლელი
და მერე მთელი დღე ამ სიტყვით სავსე ხარ,
რამდენი, რამდენი, მართლაც რამდენი
გივლია თითქოს, იფიქრებ შენთვის

და გზას აგრძელებ, ასი იმდენი
ისევ წინა გაქვს ჯერ გასავლელი
ვიდრე ნაბიჯებს უკან მოითვლი,
ყოველი მათგანი გაბრუნებს თავთან,

უკან თავისკენ მაინც წინ მიიწევი,
რატომღაც გჯერა და თავს კარგად გრძნობ
და წრეც იკვრება შენივე ნაბიჯით
წრის შუაგულში შენვე დადგები

და აღარ ითხოვ პასუხებს კითხვებზე
შენ უკვე იცი ეს ყველაფერი
და თითქოს ამინდიც თავს იმიზეზებს
და შვილად ყავხარ ღმერთს მერამდენედ,

ამას ვინ მოთვლის, შენ შემოგეველე,

ყველა გამვლელში ერთად ირეკლებით
შენ და ღმერთი და სხვა შენობები
და სურვილები, მისწრაფებანი,

Have a nice day, გესმის და კარგად ხარ
და გზას აგრძელებ შენივე თავისკენ,
ნეტავ ის მხარე დღეს დამენახა
მე საიდანაც ათვლა დავიწყე

სიცოცხლის ათვლა სუნთქვასთან ერთად,
ან ვინ რა იცის წინ რა მოელის,
თავი სააქაოდ ვინც განიღმერთა
ღმერთად კი დარჩა, მაგრამ დროებით,

ხან დროში ზიხარ, ხან განუდგები,
ხან მას წინ უსწრებ შენი თავისკენ,
შენ გაქვს ცოდნის და ფრენის უფლება
სადაც ამთავრებ იქვე დაიწყებ,

თავის მოსმენას და განკაცებას
და დროებითი ხიბლიც გაქრება
და ხიდზე დგები ორ ნაპირს შორის
ზეცაც ყოფილა თურმე რამხელა

გაიფიქრებ და გამვლელი ისევ
Have a nice day, ჩაგივლის, გეტყვის
და როცა სული ძილისკენ გინევს
სიზმრად გახურავს საბანი ღმერთის.

დ. 9 მაისი 2011 ნიუ იორკი

Union Square

იუნიონ სქუერში განდის ძეგლთან ვარ.
თან ათასგვარი ჩიტები მახლავს.
მმოსავს მუსიკა მე ნიუ იორკის.
ორლანის მძიმე ბგერებზე ვტივტივებ.

თითქოს სიმსუბუქით ვგავარ იმ ჩიტებს.
თუმცა მაცვია კაცის სხეულიც.

მე ახლა, წამსა და ჩვენ საუკუნეს,
სიტყვებად ვძერწავ
და საუკვდავედ,
ჩემ წარმავალ დროს,
ყველა ჩემ დანაკარგს,
უცნაურია იმავე წამში, ისევ ვპოულობ,
ის მას არა ჰგავს,

მაგრამ ვამსგავსებ.

და ვხედავ რომ წამით,
თითქოს ყველაფერი,
ერთმანეთს ერთმანეთს
მართლაც ასე ჰგავს,
ხან სიტკბობებაც თავს აიმწარებს
ხმას შინაურს გრძნობ უცხო მხარეთა.

ის ჩემი სიჩუმე კი ისევ გეფერება
და შენთან მოაქვს სიტყვები ჩემი.

წამშივე იკვრება შემოვლითი გზა
და უკვე ვიცი, რომ გადავრჩებით,
და როგორც შვება ისე მეღირსა
ჩემივე სუნთქვაც და სიზმარიც ჩემი.

და სიტყვა “ჩემი” მე აღარა მაქვს,

ის უკვე შენია, თავიც კი გავეცი,
მის საფასურად და დიდ ბარაქად
ვიტევ სამყაროს ოქროდ დავერცხლილს

და კიდევ სხვებსაც, მიღმა მხარეებს,
სიხარულიც და დარდიც ბევრთანა...
ნამით ჩამოვჯექი, თუ ჩამოივლი –
იუნიონ სქუერში განდის ძეგლთან ვარ.

დ. 9 მაისი 2011 ნიუ იორკი.

Lexington Avenue 92nd street Y 1395 Unterberg Poetry Center Live

ლექსინგტონ ავენიუს ესაფუძვლება
ქართული სიტყვა, გნებავს ბერძნულიც,
ესაა სიტყვა – ლექსი, უფლება,
ყოფნის უფლება,
ყველგან, ყოველთვის.

ჩემმა ლექსებმა,
აქ აინათეს, სხვა პოეტები
სხვა მსოფლიოდან, თავს აქ
იყრიდნენ, რათა ენახათ
სიცოცხლე სუნთქვად, როგორ მდიოდა.

ყოფნის უფლება,
მე ყოველთვის მაქვს,
ყოველი სიტყვა და ის მუსიკა,
ლორი ანდერსონ: – მე თქვენ
მიყვარხართ, – დევიდ დეფი,
მოდი გავეცნოთ...

ჩვენ დღეს ნიუ იორკს ნატვრად ვუხდებით,

ჩვენი აქყოფნა ჩვენი ლექსია,
ხედავ შუქები, ქალაქის
შუქები, შენივე სინათლეს
შენვე გესვრიან...

მე გავიარე ცეცხლსა და წყალში
და უკან შემომრჩა ხოტბის
საყვირნიც და მიხარია,
როგორ გადავრჩი, თუმცა
სირუმეც სიტყვით ვაკვირვე,

ანდა შენ თვალწინ რა არ
მიქნია, არაერთხელ და
იგივე ახლაც
ხდება და აქედან ისევ იქ
მიაქვს, მე საიდანაც დიდება
მახლდა,

ლექსს, თავი ჩემი არადსაქები,
მე ეს ვიცოდი სულ თავიდანვე,
სამყაროს წვერზე ცოცხლად
დავდექი,
შენდამი ნატვრაც
თან ავიტანე.

დ. 11 მაისი 2011 ნიუ იორკი

233 Mott street, New York
The Cafe by St. Patrick's Old Cathedral School

- ჰეი, უკაცრავად, ერთი ყავა თუ შეიძლება.
- აქ მიირთმევთ? თუ გარეთ?
- გარეთ.
- ოქეი. ახლავე.

რა ამინდია ღმერთო ჩემო. რა ამინდია.
ქუჩას გავყურებ მზე ჩაინია დამითმო ხელი.
ხელი ავნიე, რომ დაგენახე და დაგიქნიე,
აი მოდიხარ და უკვე მხედავ, აი მოხვედი.

– რა ლამაზი ხარ. რას შვრები... როგორ ხარ...
– მადლობა... კარგად ვარ... შენკენ რა
ხდება...

– რა ვიცი მეც არამიშავს... აი მოგორდა
აგე ის ბურთი, ხედავ ჭიშკართან? სკოლის
ბავშვებთან...

– ა ჰო... აქედან ელიზაბეთ სთრითზე
მივდივარ
და ... მერე... იქიდან...

სანამ ყავას ვსვამთ, მე მას ვუყურებ,
ო როგორ მინდა ახლა ვაკოცო...
ის კი ადგა და... თვითონ მაკოცა,
როცა კი ვჩქარობ, როგორ არ მომწონს.

არაფერია, ნიუ იორკია,
აქ ყველაფერი ერთ წამში ხდება
და ახლა მისი ხმა სადღაც შორს მიაქვს
ქუჩის სიჩუმეს და ხმაურსაც ერთად.

– რა იყო? გიკვირს? რატომ გაკოცე?
რადგან ეს წამი მინდა გახსოვდეს,
რადგან სიცოცხლე ეკუთვნით ცოცხლებს
და ველარ გნახავ ალბათ სხვა დრომდე,

მეც ავდექი და ახლა გაკოცე, –
თქვა და თავისი ჭიქიდან მოსვა.
საათს გავხედე, წამით სამოცი
შეიკრა წუთი და ყველა დროთა,

თითქოს შეიკრნენ წრეები, პირველი,
უკანასკნელმა გადაილოცა,

მე ახლა მივყვები, დინებას მივყვები,
ის ერთი წამი კი გაყვა იმ კოცნას.

– ანგარიში თუ შეიძლება...

დ. 12 მაისი 2011 ნიუ იორკი

The Special One

ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკის წინ
ჩემს ლიტ აგენტს ველოდები.
რა კარგია აღარ წვიმს,
– მადლობა ღმერთს და რომელი..?

– რა რომელი?
– რომელია ის რომანი აქ რაც უკვე აირჩიეს?
– დილა, დილა სასწაულების წინ,
– ა, ოქეი, ვიცი, ვიცი, ბედისწერა
უცხო გმირთა,

მართლაც როგორ აღარ წვიმს,
დილიდან კი ასე წვიმდა.

– აი მოდის. კაი აბა, დროებით და...
– ჰო, ჰო მაგრად... შენ იცი და გნახავ ალ-
ბათ...
– რათქმაუნდა... დაგირეკავ...
– ზეცაც როგორ მოინმინდა.

პირისპირ ვარ მე ჩემ წიგნთან.

და არ ვიცი, მე ვარ მასთან თუ ის
მირჩევს, როგორც ავტორს,

ყურძნის წვენიც გადამასხა,
ხან მაფხიზლებს, ხან დამათრობს

და დღეიდან... ის გამოდის,
თორმეტი უცხო ქვეყანაში
და შენამდეც ალბათ მოვა
და თავფურცელს, რომ გადაშლი

ნაიკითხე ის სიტყვები,
ნიუ იორკში ყველამ იცის
საკუთარ თავს თუ მიყვები
საიდუმლოს დედამინის

ეგრევე ხსნი, ისიც შენ წინ
თორმეტი გზის კარს გაგიღებს,
მთელ სამყაროს წამში შეცვლი,
ლეგენდებს და გინდაც მითებს

უცებ სუნთქვას ჩაბერავ,
უწინ, წინ და სულ წინ, ყოჩაღ...
და სამყაროც... აქედან...
ღმერთის ხელისგულზე მოჩანს.

დ. 12 მაისი 2011 ნიუ იორკი

Bryant Square Park

მეხუთე ავენიუდან, სენტრალ
პარკიდან აქეთ,
ბიბლიოთეკის იქითა მხარეს,
მე და ჩემმა ჩრდილმა ვნახეთ
სხვა ჩრდილები და დავხარეთ

ჩვენ ორივემ თავი ერთად,
სხვა ფერადი ჩრდილების წინ,
ჩემი თვალით ვნახე ხვეტდა
შუქებს ქარი, ერთად ვინვით,

ჩვენს შუქებში, მოედანზე,
რა ბრწყინვალე შუადღეა,
სული ტვინში მოვათავსე
ჩემ სულს ოქრო სულ ატყვია,

სიტყვებს, ღმერთის ანარეკლებს,
ვისმენ ყველგან, ვამბობ ყველგან,
ადამს ევა განინეკნებს
ედემის ბალს როგორც ხვეტდა

თბილი, შუქნარევი ქარი,
ის ნიავი აქვე დაქრის,
ნიუ იორკის ამ ნაწილში,

ქარი, ოქროს შუქზე მჯდარი
დღეს ჩემს ირგვლივ
სულ სამ წიგნს შლის –

პირველს: კაცთა ბედისწერას.
სხვა მეორეს: საგალობელს.
და მესამეს: ჩვენ სიცოცხლეს
შლის და ყველგან აგალობებს

ჩვენ ვართ ერთად ერთნი სამ ხმად,
შუქს სხვა შუქნიც მოეტმასნენ,
გავიშალეთ, ბევრნი გავხდით,
მე ჩემ ჩრდილთან, მოედანზე.

დ.15 მაისი 2011 ნიუ იორკი

Lincoln Center

დრო რომ გექნება, შემომიარე, ან
დამირეკე, მოკლედ, მაცნობე,
ო, ისეთ ადგილას წავიდეთ ერთად
სადაც დრო დგება ღმერთის გაცნობის
და მუსიკის ხმა გაგონებს ველთა

ქარების ხმებს და ოკეანეებს
და კიდევ არასდროს არსად
მოსმენილს... ზედ სიჩუმესთან
მოგიალერსებს...
კედლიდან თითქოს დღეს ჩამოვხსენი

ნახატი ერთი და კართან დავდე,
მეტროპოლიტენ ოპერის კართან,
მე დრო მოვიგე, დავითმენ რამდენს,
დღეს ყველა ნატვრა ერთ წამში ახდა,

დღეს გავხდი შენი შეყვარებული,
თუმცა მე იგი ყოველთვის ვიყავი,
მეიგავენი გზავნიან ბმულებს,
ცხოვრება-ქსელი, მართლაც იგავი,

ჩვენ მის კვალდაკვალ ერთადვე
მოვალთ, მუსიკის სულით, მუსიკის
სახედ. მე დავესწარი ბგერების თრთოლვას,
ნიუ იორკ სითი ბალეტიც ვნახე,

და ვნახე გაშლილი, გაშლილი სამყარო,
გავხარო უთქვამთ, ოდესმე... სადმე?
სიმშვიდით გავხარო მას, თურმე რამხელა
სამყარო იშლება და სახელს გარქმევს,

მე ეს სამყარო ადრეც ვიცოდი, ის ჩემში
იყო ამიტომ ვიცოდი, ღვთისმეტყველების
თუნდაც ღვთისცოდნის, ნიშანი არის

თვითონ სიცოცხლე,

ეს ნიშანი კი ყველას თან დააქვს,
სწორედ აქ ვხედავ მე მის სიმრავლეს,
ხოტბა შევასხა მინდა და ის კი
დიდი ბრძენივით თავს დაიმდაბლებს.

დ. 16 მაისი 2011 ნიუ იორკი

Kaufman Center

ისევ მუსიკა, ჩემი მუსიკა,
გულისფეთქვასთან ერთად ჩამესმის,
ისევ მუსიკა, მუსიკა, მუსიკა,
რამდენი, რამდენი, ღმერთო რამდენი,

რამდენი ცა არის, რამდენი გზა არის,
რამდენი მინაა, მე ყველა ვინამე,
რადგან ყველანი ერთი მხრიდან ვართ,
ღმერთის ზეციდან კაცის მინამდე,

სიცოცხლის შემდეგ სიცოცხლე არაა?
საიდან იცი? აი მუსიკა
გულს იმით ახსნი,
როგორ არაა,
ის რომ არ იყოს
მუსიკისათვის

ჩვენში ადგილი არ იქნებოდა,
ჩვენ ვერ შევძლებდით დღეს შეყვარებას,
ნამი ყვავილობს დროის მდუღლოდან
შენივე სუნთქვაც შენ გეხმარება,
დატკბე მუსიკით შენივე თავში,

ჩვენ ხომ ვასრულებთ ერთ დავალებას,
და ჩემ ოცნებას ვერავინ ნაშლის,
გზიდან ის ლოდიც გადავარდება,

რომელზეც ხშირად თავპირს ვიტყვდით
და უკვე ლოდიც აღარსად არის
და ისევ მუსიკა, სამეფო ტახტი,
უბრალოება...
და ღვთის საბანი,

ესასთუმლება ჩემ სულთათანას,
ვკვდები და ვცოცხლდები, მათ შორის
ხე დგას, დიდ მდუმარებას გაუთანაბრდა,
დიდი მუსიკა ჩემშიც და ყველგან

და სულმა ჩემმა არ მოიცადა,
მუსიკას გაყვა, ის სხვა სულებს ხსნის,
ნამით დავდექი ბროდუეისა და
სამოცდამეშვიდე ქუჩის კუთხეში.

დ. 16 მაისი 2011 ნიუ იორკი

Harlem

ჰარლემში შევრჩი გვიანობამდე.
ჩემ მეგობართან ღამე ვათიე.

...დავლიეთ უისკი. ჯეკ დენიელსი.
დაგილევია ჰარლემში უისკი?...

თითქოს დღე ღამეს პირს ჩამოხანდეს,
თავს აქ სახლში გრძნობ და ხედავ მთიებს.
...მოლურჯო ყვავილს ჯერ ერთი გესვრის.

ცათამბრჯენს ადგას დილის ნარინჯი...

ჯერ სიჩუმეა. უხმოდ თენდება.
მერე თანდათან ხმაც იბადება.

...ნარინჯთან ერთად სხვა ყვავილს გესვრის
ფანჯარას ალებ... უცებ დადინჯდი...

და ნანვიმარი ქუჩების თავზე
ჩრდილნი ჩნდებიან უცხო საგნებად.

...შემოდის ჰაერი. სუფთა ჰაერი.
მთიები, ნახატის სახეს იღებენ...

და სიუცხოვეც ერთ ნამში ქრება.
საგნების არსი ახლა შენშია

...ხვდები რომ სიზმრის მახეში გაეები
მაგრამ არ იმჩნევ უცხო თვისებებს...

და თავდაყირა სართულიც ქვედა
გახდება ჭერი. ალბათ შემშლიან

... და გამოდიხარ სიზმრიდან გარეთ
ნამით გეჩვენება იყოფი ორად...

კი, კი, შემშლიან ჩემი ხილვები
დრო შიგნით ბრუნავს. ლექსში ლექსია.

...და ყველაფერი ლაგდება ასე
ადამიანებს აქ უყვართ ყოფნა...

შენ მართალი ხარ, ერთია ყოფნა
და მთლიანობაც არ განიყოფა.

დ.16 მაისი 2011 ნიუ იორკი

Empire State Building

- მომწონს? მომწონს კი არა მიყვარს!
- ჰო. მეც ეგრე. მიყვარს. თუ შეიძლება რომ შენობა გიყვარდეს...
- კი, შეიძლება. ეს ნიუ იორკია.

ადის ზემოთ, ადის და დგას!
ყველასგან გამორჩეული.
ყველასგან სხვა და ყველაფრისაგან.
E m p i r e S t a t e B u i l d i n g .

ის პოეტია. ეს შენობაა დიდი პოეტი.
ის ჩემი ძმაა. ეს შენობაა ჩემი ძმა.
ჩვენ ერთნი ვართ. ჩვენ ზემოთ ავდივართ.
ის დიდებულია და მისი ჩრდილიც დაიდრა,

უკვე თენდება სამყაროს თავზე
უკვე იხსნება სამყაროთ შორის
ყველა კარი და იქ განვათავსე
უდროობაც და ყოველი დრონიც.

...ეს შენობა მე ვარ სულით.
...ის ჩემში დგას, როგორც ზნე
რომ, უსასრულო დავასრულო,
და თავს ავყვე უფრო ზემოთ

...და იქიდან... საიქიოდ,
ათასწლეულებს გასცქერის,
დაგიქნის ხელი მინდა
...ყველაფერი არაფერი...

აზრს თუ კარგავს ისევ იძენს,
მძიმედ ადის და მსუბუქად,
მძივებს ართავს მისვე მძივებს,
ხან ნალმაც და ხან უკულმაც

ყველა ნატვრას ახლო იკრებს,
სინამდვილით მოგავს ზღაპარს
დგას და თითქოს არც დგას იქნებ
სიზმრის ხილვებს მიმოფანტავს,

ეს შენობა... ეს პოეტი...
თავის თავში ღმერთს ირეკლავს,
დღეს შემოვალ, დღეს მოვედი
სააქაოდ და იმქვეყნად,

ნელინადის თითო წამი,
თითო თითო ამოსუნთქვა,
ირგვლივ ბაღნარს აიმწვანებს
ჭემმარიტად ჩემთვის უთქვამთ

ემპაირის საიდუმლო,
მისი ბრწყინვალეობა ვიცი,
ჩემი სული მისრიალებს
ლიცლიცს იწყებს ღამით, დღისით,

ანგელოზის ხმა და დარდი,
მასში ერთად მიყვარს რადგან
დგას და ადის, ადის, ადის
კაცთა მოდგმის ბედი ადგას.

დ. 18 მაისი 2011 ნიუ იორკი

New York Bridges

ფილოსოფია აქ ასეთია – შენივე თავისთვის
ხდები სამიზნე.

სიტყვები ხიდებად ჩავბეჭდე, მათ
სამშვიდობო სიტყვა სურთ,
როგორც ბახის მუსიკა ღვთის არსებობას
ამტკიცებს,

ისე ამტკიცებს ყველა ეს ხიდი, ჩემი შენდამი
სიყვარულს.

მანჰეტენის და ბრუკლინის ხიდები, ორივე
ერთად, ორივე ნაპირზე,
უილიამსბურგის და ქუინსბოროს ხიდებიც
იქვე დგებიან მათ ჩაყოლებაზე
და ვაშინგტონის ხიდი სხვა მხარეს, ჩემი
ნაბიჯით არ დავამძიმე,
ავემსუბუქე, მათ ხმებს მივყვები, ხიდზე ძმა
მხვდება ლადო ძნელაძე,

სამასი წელია ნიუ იორკშია, დათო და თეა,
ნინოც ასევე,
ერთმანეთს აქ შეხვდნენ ვატო და ნინოც,
მიდთაუნში ვართ, მე უისკი მიდგას,
მოვიდა გოგა, ქეთა, ბავშვები, სიხა მოვიდა,
ქურა დაზვერეს,
თბილისზე მკითხეს, მიხო რას შვრება,
დავითა რას შვრება, აქ იყვნენ იმ წამს,

ვთქვი ყველაფერი და ისევ მოვსვი, ხიდებს
ვეძებდი, სიტყვებს ჩვენ შორის,
ჯოშუა მოვიდა და დი დაბლ იუ, ლედიგ
ჰაუსის მამები, ძმები,
პოეტნი ხიდების არქიტექტორნი, დე ჩვენი
ხვედრი სხვას არ შეშურდეს,
დე გვეპატიოს როგორც ცათამბრჯენტ,
ჩვენი სიმაღლით ჩვენვე რომ ვთვრებით.

მე ისევ ხიდები მიტაცებს ხიდები, ხიდი ნიუ
იორკს სულში მზეს უშლის,
თითქოს ცხოვრებას ხელახლა იწყებ,
ნაბიჯიც გინდა გზას უსახსოვრო...
მე ისევ მივყვები, იმ ტალღებს მივყვები,
ხიდებთან ერთად ტვინში და გულში
და მთელ სხეულში სივრცე შემომდის, ასე
გაშლილი და უსასრულო...

დ. 19 მაისი 2011 ნიუ იორკი

Statue of Liberty

რაღაც შიშები აპოკალიფსის
და კიდევ რაღაცა სასიკვდილეთის, გაქრა.
აპოკალიფსმა, სამყაროს უკანასკნელმა
მეგა პროექტმა წარმატებით ჩაიარა.

წამებად ვიშლებით და დრომ გვადროვა,
რისთვის?
რადგან გავუსწარიტ? გაგიკვირდება,
მართლაც,
ამ ორმა რიცხვმა, თორმეტმა და
ოცდაერთმა,
უკან რაც გვდევდა, ჩვენ წინ ამოყო თავი,

ორმა საკრალურმა რიცხვმა.
ორმა უძვირფასესმა ჩემმა რიცხვმა...

და სიმეტრიით ღმერთის მათ შორის,
ნატურალური რიცხვების ძენკვზე,
ნულიდან ცხრამდე, მინდა დამშორდეს,
მთელი სამყარო და იმწამითვე...

მომიახლოვდეს...

დიდი ხანია ვხედავ სხვა ზეცას,
სხვა ზღვას, სხვა გზებს და სხვა სახლებს.
ხან ეს სხვაობაც მომთენთავს, მოთეთრო
სიზმრებს ცხადად ხელს ვახლებ
და ეს სითეთრე ხდება ცისფერი,
კვამლივით, ორთქლივით, ფოთოლს
წაწვიმარს, როგორც აუვა წვეთიდან
წვეთზე, გუმინ ველოდი და დღეს განვიმდა,

მდინარის ტანზე...

თავისუფლების ქანდაკება დგას,
მოცისფრო კვამლზე ტივტივებს,
ვუახლოვდებით, გვიახლოვდება,
მარგალიტს უპნევს ყოველ ხმას,
ვინც მას მიაწვდენს სწორედ იმ სიტყვებს,

რითიც ყოველი აქ შემომსვლელის ლოცვა
დღეს ახდა,
განვლე სიძნელე, შენ გაუძელი, განვლე
დიდებაც
და თითქოს უკან მოგდგამს, ძალა, ოთხთა
მხედართა,
ყოველი ტალღაც, განუდენელს განედინება,

თავისუფლების ქანდაკება. დიდი მდინარე.
ლურჯი, მოცისფრო, მწვანე სითეთრე...

ის გამჭვირვალე სიზმართ სითეთრე...
ჩვენ ყველამ ერთად თურმე დღეები
აღსასრულისაც გადავიტანეთ,
მაშინ სიავეც, სამუდამოდ,
თავს დიდ სიკეთედ...
გადაიკეთებს.

დ. 20 მაისი 2011 ნიუ იორკი

New York Winds

ავანგარდია.
რა ბრწყინვალეა.
მაგრად გამოგდის და წარმატებაც,
გავს დიდ სიხარულს ოდნავ დარდიანს,
დიდი გამოცდის დროც ახლა დგება.

მე ეს არ მიყვარს.
არ გამომცადო.
არ გამომცადო... არც გამოსცადო,
არასდროს არავინ, გინდ ღმერთი შენი,
შენი სიტყვაა შენ გამო სანდო.

უთქმელი სიტყვა.
მაგრამ ფიქრებში,
უკვე დიდი ხნით ადრე ნათქვამი.
ნუთუ უკლებლივ ერთად მივქრებით,
მატყუარაც და გულით მართალნიც.

ნუთუ ერთმანეთს,
ისევ შევხვდებით.
მიუხედავად ჩვენი ქრობისა.
და საგანგებოდ ანდა შემთხვევით,
შენი სიცილის ისევ მომდის ხმა.

ნუთუ სამყაროს
დასალიერზეც,
კვლავ არსებობენ შენნაირები,
ნუთუ თავიდან გადავიერთე,
სიცოცხლის წყარო, წამო, ვფრინდებით,

მე ისევ მიკვირს,
რომ ცოცხალი ვარ.
და ისევ მჯერა რომ გავიმარჯვებ,
ვაჩუქო ყველას შენი ხმა მინდა
და დავანახო შენი სინათლეც.

ბევრი გიყურებს,
მაგრამ ვერ გხედავს.
სინათლე შიგნიდან, შიგნიდან მოგდგამს,
ნუთუ სამყაროც არის ჩვენსხელა,
ზუსტი სიტყვები ან თუნდაც ბოდვა

კვლავ
ერთნაირად გასაგებია.

ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის
და ხის ფოთლებიც ქარში მღერიან,
ტოტით ცას ასწვდნენ, ჩაღრმავდნენ
ფესვით.

დ. 21 მაისი 2011 ნიუ იორკი

Madison Avenue

მედისონ ავენიუ მე შენ მიყვარხარ.
მე ნიუ იორკის ყველა ავენიუ მიყვარს
და ყველა სთრითი აქედან იქამდე
და ყველგან ხალხი, აქაც და იქაც,

...ყოველი სუნთქვა ექოდ ჩამესმის,
ვერასდროს აგიხსნი ეს როგორ მიყვარს...

და ყველგან სინათლე, სიმაღლე ყველგან,
ყველგან გაშლილი, აშლილი სამყარო,
მე თავს არ ვიმართლებ, მე მართლა მედგა
სხეულში სული, გთხოვ დამანყნარო,

...უსულოდ არ ვარ, უბრალოდ მიკვირს,
სული მიდგას თუ მთელი სამყარო...

ვთხოვ წამიყვანოს სინათლის სიჩქარემ,
ბროდუეი სამყაროს ეკუადორია,
ჩვენ ნატვრა გვატარებს აქედან იქამდე,
იქიდან უფრო შორს ეს ხმა დროს მიაქვს,

...ახლა კი ვდგავარ, მაგრამ მივდივარ,
ნაბიჯების ხმა... ეს ხმაც დროს მიაქვს...

სადღაც თავისთან უდროობაში,
უფრო რომ გაშლი სხეულს მიხვდები
აქ რატომა ხარ, მზეც როგორ აჭერს
და პასუხები, როგორც კითხვები,

სულ ერთნაირად მიღმა რჩებიან
და სულ განებებს თავს გაეჭვებაც,
ყველა უცხოს და ყველა ჩემიანს
ერთად ვიხუტებ სულს დაემჩნევა

...კვალი აქ ყოფნის, სააქაოში,
ტალღა, ზღვა რომ შლის სულს დაემჩნევა...

სიმდიდრე შენი და სასწაულიც
და ეს ნუგეში, ღმერთო რამხელა,
თავს გაიშიშვლებს და ხალხს ჩაუვლის
და საიდუმლოს გულით გამხელაც

ხდება სწორედ აქ და ექოც კვლავ მიდის,
მე თვითვონ ატრიუმს ვგავარ სახებად
მედისონ ავენიუ ფერადი ბინდი
მიდის, სულ მიდის... და არ მთავრდება.

დ. 22 მაისი 2011 ნიუ იორკი

Brooklyn's Dusk

კინგს ჰაიუეის გავცდი თუ არა,
ვიგრძენი დედამინა მართლა რომ ტრიალებს,
პლანეტას თითქოს გარს შემოვუარე,
თითქოს სამოთხის ვხედავდი მდინარეს,

სამყარო ვინატრე სიზმრად მიხატული,

უცხო ზღვებად და უცხო მიწებად,
მჭირდება, მჭირდება შენი სიყვარული,
სწორედ რომ ახლა მე ის მჭირდება,

როდის, ჰო როდის გაიგებ ამას,
ან როგორ გითხრა ისე, რომ იგრძნო,
მიხვდე, მიხვდე, რომ მე სულ თან დამაქვს
შენი ნატვრანი, სიცოცხლის სითბო,

ცხოვრება გრძელია, მაგრამ ჩქარა გადის,
ჩვენ დროს არ ვუცდით, ისიც არ იცდის,
ნისლივით მოჩანს წარსული დარდი,
გასაყარზე დგას ცისა და მიწის,

მეგონა იცოდი, მეგონა იგრძენი.
მიცანი მეგონა, ერთი ნახვითვე,
ასე ბევრი რამ მეგონი მეგონა
და არჩევანიც როცა დაგიტყე,

დრო დამიკარგავს? არა, პირიქით,
მე ის მოვიგე, დროულად მივხვდი,
რომ სულერთია, თუმცა ვინ იცის,
აქ დავრჩები თუ გადავალ იქით,

იმ უცხო ზღვებთან და უცხო მიწებთან
გული კი მწყდება, მაგრამ უშენოდ,
ღმერთო, ყოველთვის ახსნა მიწევდა
ახლა უსიტყვოდ მინდა ვუჩვენო
უკვე სხვა ვინმეს, ის უცნაური,
ის უცნაური ხილვა დაისის,
ქვეყნის მიწურულს გაიხმაურა,
თუმცა დაისმა ნეტავ რა იცის,

ჩვენ მისით ტკბობა ზოგჯერ რომ გვიყვარს,
ზოგჯერ თუ ყოველთვის, საკითხავია,
ის მაინც მიდის და მერე ქრება,
ჩვენი ნატვრანიც სადღაც თან მიაქვს.

დ. 22 მაისი 2011 ნიუ იორკი

Brooklyn's Dawn

კინგს ჰაიუეიდან... ისევ გამოვედი
და დედამინაც ისევ შემობრუნდა.
ისევ გათენდა და შენც დღეიდან
მზისფერს მიიტან სულ ახლოს გულთან.

მიიტან, მიიღებ და დამშვიდდები.
შენ ყველაფერი... კარგად გექნება...
გულიც გიფეთქავს თითქოს წინსწრებით,
შენ ყველაფერი კარგად გექნება.

ბრუკლინის სიმშვიდე... ზღაპარს
მოგაგონებს.
სამყარო მთავრდება?... ადრეა იმ დრომდე...
ბრუკლინის სიმშვიდე ზღაპარს მოგაგონებს.
გინდაც ძირს დაეშვა, გინდაც მალღებოდე.

თენდება... ღმერთო რა ახლოს თენდება.
ჯერ კიდევ არ იცი რა ბედნიერი ხარ...
თენდება ღმერთო რა ახლოს თენდება.
მუსიკა მუსიკა... ბევრი ბევრი ხმა,

მოგიახლოვდა... შეყოვნდა თითქოს.
გენუგეშება სულ ახლოს გულთან.
შენ გაიღიმე და ისევ იგრძნობ,
დედამინა რომ დღეს შემობრუნდა.

დ. 23 მაისი 2011 ნიუ იორკი

Elizabeth Street

რა მოხდება აქ რომ სადმე, გზად
ედგარ პოს ძეგლი დადგან...

...მივედი და უისკის სვამდნენ,

– ჰაი გაის, როგორა ხართ?
– მაგრა, შენკენ? შენკენ როგორ?
– მაგრა, მაგრა, მეც მაგრად ვარ, –

ჩამოვჯექი მეც დავისხი,
უისკიმ რაღაც დამანახა...

რაღაც თითქოს აუხსნელი...
თითქმის ითქმის, მაგრამ მაინც,
მე სიტყვებს მას ვერ ვუძებნი,
კიდევ ერთი, ერთი წამიც

და ინათებს დიდი ღამე,
ნიუ იორკის სულს დაჰყვება,
ის თავისთან მიმიხარებს,
ჩემი ღმერთი ლურჯთვალება,

სახით ყველა ჩვენგანს მოჰგავს,
ჩვენ ერთნი ვართ, მაგრამ არა,
მაგრამ არა ერთნაირნი...
ის კი ყველა ჩვენგანს მოჰგავს
და ჩვენს შორის თუ გაივლის

ყველას რაღაც გვიხარია,
ვეტრფი ყველგან ამ სიხარულს,
ღამის შუქნიც იქ არიან,
სიკეთეში მოიხმარონ...

და მშვიდობით იყვნენ, იყვნენ,

მე მათ შორის ახლა ვქრები...
მე მათ შორის ახლა ვჩნდები...
ის წამი კი ყველგანაა...
მარჯვენაა...
ხან მარცხენა...
წინ გადის და უკან დგება,
უკვდავება გამახსენა,
ის ნამდვილი უკვდავება,

როცა ედგარს ძეგლი ედგას
პოეტს უკვე ის არც უნდა,
ის ჩემ ლურჯთვალეზა ღმერთთან
არის როგორც იყო მუდამ.

დ. 24 მაისი 2011 ნიუ იორკი

Subway

ხალხია.
რამდენი ხალხია. რამდენი.
ეს სტიქიაა.
ეს სტიქიაა.
ზღვებმა ნაპირნი თითქოს
განდევნეს. რამდენი ხალხია,
ღმერთო რამდენი...

აქ,
ყველაფერი, აქ წარმოიშვა,
გინდ ოცნებანი და იმედები
და მართლაც როგორ,
ან რა დროიდან,
ამ ყველაფრისთვის
თავს ვიმეტებდი...

სახელი ერქვას მათდა ღირსებად,
სახელი ერქვას ამ ხალხის თვალებს,
ზოგი რამ რჩება, ზოგი იცვლება,
დიდ განდინებას რა დაამთავრებს,

მათი რიცხვი თუ სამყაროს რიცხვი,
ის უკვე ყველა სათვალავს ასცდა,
მდინარე მრეცხავს, ნაპირთან მიცდის
და ისევ ქრება კავშირი წამთა

და ისევ ჩნდება, ისევ თავიდან,
ხალხია, ხალხი, რამდენი... რამდენი,
ეს სტიქიაა და მე ის მიყვარს,
ზღვებმაც ნაპირნი ისევ განდევნეს.

დ. 24 მაისი 2011 ნიუ იორკი

Mr. Diamond

– ჰეი მისტერ დაიმონდ!
მეძახის ის კაცი...
– მისტერ ქვრეიზი დაიმონდ
შაინ ონ,.. ინათე, ინათე
ნიუ იორკ სითიში, – იცინის,
რეპავს და თითქოს შაირობს: –

საიდანა ხარ, ძალიან შორიდან?
თუმცა ნიუ იორკში ეს სულერთია,
ახლა სახლში ხარ და დროც მოვიდა,
წამები წუთებს და წლებს ეტყვიან,

ჰეი მისტერ დაიმონდ! საუკუნეებს,
ათასწლეულებს და სულ სულ იქით,

ეტყვიან ჩვენზე ყოველ ჩვენგანზე,
მე ეს შევძელი, შენც ასე იტყვი,

ჰეი მეგობარო, ო ძმაო ჩემო,
დადექი ჩემს გვერდით, ერთად ავხედოთ
ნიუ იორკის ცას და ჩვენს გარშემო
ღრუბელნი ვფანტოთ, ანდა მოიცა,

მოიცა წამით მისტერ დაიმონდ,

ფედერალური რეზერვი იცი?
ან მის შესახებ რამე გსმენია?
დედის წინ დარბის ისევ ის კვიცი
და ის პერანგი ისევ სველია,

რომელიც შარშან ოფლით და სისხლით
და თავგანწირვით მე მოვიპოვე
და ახლა ცოტა უისკი დამისხი
და ახლა ნახე ნახე იმ ფოთლებს

აგე იმ ხეზე ფერი შეეცვლებათ,
ეს ნიუ იორკია ფოთლები ჩვენ ვართ
და ის ხეც ჩვენ ვართ, ყოველთვის ყველა,
ვრჩებით ან ვიცვლებით და გადარჩენაც,

და გადარჩენაც, ჩვენ ხომ ახლა გვსურს,
მისტერ დაიმონდ მითხარი სიმართლე
მართლა არ ელი ქვეყნის აღსასრულს?
მისტერ დაიმონდ ინათე ინათე, –

ვიდექი, ვუსმენდი ამ კაცს და ვგრძნობდი,
სიცოცხლის სურვილი ყველგან ერთია
და ჩვენ შესახებ ზღაპრული თრთოლვით,
წამები, წუთებს და წლებს ეტყვიან.

დ. 25 მაისი 2011 ნიუ იორკი

100 Skyscrapers

ასი ცათამბრჯენი და ასზე მეტი...
ლონგ აილენდიდან მოჩანს ოკეანე.
მე სასიცოცხლედ თავი გავიმეტე
და მანჰეტენზე ერთად მოვიარე

ყოველი დღე და ყოველი ღამე,
გეძებდი, გეძებდი, ვიცი რომ აქ ხარ,
ფიქრმა ჩამიარა, შუბლი მოვიფხანე
და არ შემეცდარვარ, შენ მართლაც აქ ხარ,

მე ჰაერივით გამჭვირვალე ვარ,
შემხედე, შემხედე, შენ წინ დავდექი
და სისხლში მივლის გამჭვირვალეზაც
და ცეცხლივით ვარ, ფერფლის ნალექიც

მინად მივფანტე, მე ხომ მინაც ვარ
და რათქმაუნდა წყალი... წყალობა
და თუ მიცანი, გულით მინამე
და თუ მინამე, იცი რომ ხმაც ვარ

ასი ცათამბრჯენის ბრონქსის უბანიდან,
ასი ცათამბრჯენის ქუინსის უბანიდან,
ყველგან ერთად მხედავ, ქარიც უბერავს და
მე შენ წინაშე ხომ ყველგან გულწრფელი
ვარ,

დილით მიდთაუნში მე ნატვრად გეძებდი,
ისტ უილიჯიდან უესტ უილიჯამდე,
არცერთი წუთი არ მაქვს ზედმეტი,
გთხოვ შენს ფიქრებში, მეც ფიქრად ჩამდე

და, სანამ ვიცოცხლებთ, ერთად
ვიცოცხლოთ
მე სიჩუმეც ვარ იმ ხმების გარდა,

ასი ცათამბრჯენი, მინდა იცოდე,
არის გადარჩენა, ყველგან და არსად.

დ. 25 მაისი 2011 ნიუ იორკი

7th Avenue

მეშვიდე ავენიუ. მზიბლავს ძალიან.
შინდისფერი ჩრდილები.
ფართე და თავისუფალი. ყოველთვის...
მშვიდი...
მაჩვენე თავი. ვინა ხარ გავიგო. წამში
მივხვდები.
მეშვიდე ავენიუ. დროს ვაკვირდებოდი და
წუთებს ვთვლიდი

შენთან შესახვედრად. შინდისფერია
ჩრდილების გარდა
ყველა ათინათი... და მე მათ შორის, ძმაკაცს
ველოდები,
ის მალე მოვა, სადმე გადავალთ, აგე იმ
სკამთან
სიგარეტს მოვწვევთ, გავისაუბრებთ ძველი
მეგობრები

და მერე დავლევთ და გავიცინებთ და
გავიხსენებთ,
სამყარო სავსეა იმ საოცარი, იმ საოცარი
თავგადასავლით
სულ რომ გრძელდება და სულს ავინყებს
ყველა სიძნელეს
და შუადღემაც ჩაითამაშა, ჩაიქროლა...
გავიდასავით,

თითქოს გავიდა, ის ჯერ აქაა, ჯერ შუადღეა,
სალამო მოდის
შვიდჯერ დავთვალე უკვე ათამდე და აი
ვხედავ,
შუადღე ახლა ოქროსფერია, მგონი მართლა
ახლა თუ როდის
ჰო როდის იყო ასეთი ფერი რომ შემომეკვრა
ყოველი მხრიდან...

ა, ვიცი, ვიცი, როდის და შარშან ერთ ჩემ
სიზმარში ვნახე იგივე
და ახლა, ამნამს, ერთი ნაწილი იმ სიზმრის
ახდა,
უცნაურია, ეს დღე სიზმართან ახლა და
ამნამს გავაიგივე,
აგე მოვიდა ჩემი ძმაკაცი, დათქმულ დროზე,
ადგილზე, სახლთან,

– ჰეი, როგორ ხარ, სულ არ შეცვლილხარ, რა
მაგარია!

– ჰეი, არც შენ არც შენ, როგორ მახარებს
შენი აქყოფნა!

– წლები ღრუბლებივით წავიდნენ, გაქრნენ,
ალარ არიან,

– ჩვენ ხომ მაინც ვართ, აქ ვართ და ჩვენ
მომავალს მაინც ვეყოფით,

– მოდი მოვწიოთ. ენევი? და მერე გავიდეთ,
აქ მაგარი ბარი ვიცი,

– რა მაგარია რომ ისევ შევხვდით. დილით
ისევ იმ დროს დგები?

– დილით შუქი ბილბორდების ინყებს
თამაშს, ინყებს ციმციმს,

– და სალამოს ინათებს და ღამე ნიუ იორკის
ხმები,

– ისევ გიჰყრობს და მიყავხარ, არ მოგშივდა?
რამე ვჭამოთ...

– მართალი ხარ, მოვწიოთ და... მომენატრე...
კაი... ნამო...

დ. 26 მაისი 2011 ნიუ იორკი

Radio City

დღეს ფოტოები გამოგიგზავნე. ხომ არ
გინახავს?
ნაწილი საიტზე ავტვირთე. ნაწილი კი
დავიტოვე ჩემთვის.
შენ ძველ ფოტოებს ვუყურებ, რა საერთო
გაქვს ახლა იმათთან?
თუმცა დრო გადის და ფოტოებზე ის ხომ
არაფერს... არაფერს შეცვლის.

შენ მშვენიერი ხარ. მე შენში ზოგჯერ
თავსაც ვხედავდი.
უცნაურია? ჰო, დრო ფოტოზე არაფერს
შეცვლის. უკვე არაფერს
და კიდევ კარგი ის წამი დარჩა, სამარადისო,
მართლაც ყველა მხრივ,
როცა შენ სახედ თითქოს მეც ვჩანდი და ამ
მსგავსებას რა დაამატეს

ან რა დააკლეს გინდ ღამეებმა, გინდაც
დღეებმა... ყველა ყველა მხრივ,
არა, ის დარჩა, ის მართლა დარჩა, ფოტო
ყოველთვის სასწაულს ახდენს,
მე შეყოვნება წამების თუ დამებედა...
ყველგან ვხედავდი,
სწორედ იმ წამებს, შეჩერებულთ ჩვენ
ფოტოებზე, ვინ მოთვლის რამდენს.

რედიო სითი, ჩანს ამ ფოტოზე, რედიო
სითიდან ახლა გამოვედი,
მე წამებს ვთვლიდი და თუ ბოლოჯერ, მათი
სიმრავლე ვერ გადავთვალე,
შენ უკვე იცი წამი ჩერდება, მე კი არ გეტყვი
მანც რომელი,
რედიო სითის კონცერტის ექოდ, მე წამებს
ვთვლიდი, ის გავდა მთვარეს,

ის ანარეკლი ფოტოზე არ ჩანს, ნიუ იორკი
ჩანს, მაგრამ ის არა,
მას ერთი წამით თვალი მოვკარი და
მუსიკამაც ხმა დაამთავრა...

...

- მაგარი კონცერტი იყო, არა?
- კი, რათქმაუნდა და ის რა იყო, დარბაზში
რომ გაკრთა უცებ?
- მე მთვარე მეგონა... რაზე ამბობ? ის
რალაცა რომ იყო?
- ჰო, უცნაურია, ნეტავ ფოტოაპარატი
მქონოდა...
- დარბაზში ხომ არ დაიწყებდი გადაღებას?
აგე ტაქსი... ნავედით
- კაი დაივიწყე...
- ტაქსი! ჰეი, აქეთ!

დ. 27 მაისი 2011 ნიუ იორკი

In God We Trust

კი, ასეა,
ჩვენ ღმერთის გვჯერა,
ჩვენ ღმერთის გვჯერა,
ჩვენ წინ მივდივართ,
ჩვენივე თავისკენ,
ჩვენ ღმერთის გვჯერა,
ჩვენ ღმერთის გვჯერა,

სიტყვა არ იცვლება, იგივე რჩება,
სიტყვა სიტყვაა, იგივე რჩება,
ჩვენ ღმერთის გვჯერა,
ჩვენ ღმერთის გვჯერა,
ყური დამიგდე მე მოგცემ რჩევას,

როგორ იცხოვრო, რატომ იცხოვრო,
რისთვის იცხოვრო, ვისთვის იცხოვრო,
ჩვენ ღმერთის გვჯერა, მაგრამ უფულოდ
სამყარო ჯერაც, მგლებად და ცხვრებად

იგივე რჩება – ხახადამშრალი,
იგივე რჩება ფულებთან ერთად,
ჩვენ ღმერთის გვჯერა, მე გადავშალე
ახალი გვერდი, სიცილი, ნყენა,

ბევრი ვერ იგრძნობს, მაგრამ მე და შენ
ყოველთვის ვგრძნობდით დაბადებიდან,
მომეცი მოგცემ, მინას შეარყევს
ეს ორი სიტყვა, გამაგებინა

ნეტავ რა გვინდა ერთმანეთისგან,
გზად ფულის მოჭრის დაგვყვება ხმებიც,
ხშირად ვნატრობდი სხვა ხმაც მესმინა,
ჩვენ ხომ ყოველდღე თავიდან ვკვდებით,

ჩვენ ხომ ყოველდღე თავიდან ვცოცხლობთ,
ვიღებთ წყალობას გზით გადმოვარდნილს,
ერთმანეთისთვის ჩვენ დაგვაქვს ცეცხლი,
ერთმანეთს ვატობობთ ღვთის მათხოვარნი

მე შენი სული, ჩემით შევავსე
ჯერი შენზეა დამჩემდა ჩვევად
გითხრა სიგიჟით სამყარო სავსეა,
და მაინც უფრო ჩვენ ღმერთის გვჯერა.

დ. 27 მაისი 2011 ნიუ იორკი

New York Penn Station

მე და გებრიელ ბირნმა ერთად ვიმგზავრეთ,
პენ სთეიშენზე, ერთ ვაგონში, გვერდი
გვერდ,
ერთ სკამზე. ის თავის ქალთან ერთად იყო.

სიმშვიდე. შუამზე. გზა და გზის
ეს უცნაური, წყნარი სურნელი.
მე სულ ველი ამ სიმშვიდეს, მშვიდად
ვსაუბრობდით პოეზიაზე და კინოზე.

ცხოვრებაზე. მსოფლიოზე. ნიუ იორკზე.
გაელიმა და დადუმდა. ნარმატების
შუქი იდგა. ნარმატება მივულოცე,
სულ ახლოს ვარ მე ამ შუქთან, ის კი
მაცნე სიყვარულთა

მიინათებს გზას და მიდის და თან მიყავს
ყველა მგზავრი, ჰმ, გებრიელ მისტერ ბირნი
მე ჩემ გზაზე დავიმგზავრე, ულამაზეს

ქალთან
ერთად, ამერიკის ვარდობის თვე,
დროც კი თითქოს წამით შედგა
იმ შუამზის შუქების ქვეშ.

დ. 29 მაისი 2011 ნიუ იორკი

Central Park

- მეხუთე ავენიუზე იცხოვრებდი?
- კარგი რა... რას მეკითხები... ისე...
ლენონი აქ დაბრიდეს?
- აქვე ახლოს. იმ დიდ სახლთან.
სენტრალ ფარქ უესტ.
- და.. თუ იცი, წვიმიდა იმ დღეს?
- არა. მერე განვიმდა.

სენტრალ პარკი იმედია. კარგად ყოფნის
იმედი.
ნიუ იორკში, დიდოსტატთა ჩრდილებია.
ქეგლები.
მათთან ახლოს ვინც მიდიან, მეც იმათთან
მივდი.
დრო ხან მიდის ხან ჩერდება. ახალგაზრდად
ვბერდებით.

ხალხის ნაკადს შევუერთდით მე და ჩემი
სირუმე,
აქ სირუმე მეტყველია. მესმის რას მეუბნება.
ამ ნაკადში მე სიტყვები სირუმისგან ვიჩუქე,
გავყვე მათ ან ცალკე გავდგე, არჩევანის მე
უფლება

ყოველთვის მაქვს. ახლა ვირჩევ, სამუდამო,
დიდ სიმშვიდეს,
სასწაული უნდა მოხდეს, აქ სასწაულს არ
შეხვდე,
ნაძვი დგას და ფანტავს გირჩებს, თავს
როგორმე დავიმშვიდებ,
ვინ მოიგებს ვინ ნააგებს პრეზიდენტის
არჩევნებს,

გინდ მოგება გინდ წაგება გირჩებივით
იფანტება,
დიდოსტატთა ხეივანში ჩემი ძმები
მხვდებიან,
მათ სახეებს მე ყველგან ვცნობ და
ღრუბლებს ვხსნით
ცის ფარდებად, ერთად ვხედავთ ჩვენ იმ
შორეთს
სად სამოთხის ხმებია.

დ. 30 მაისი 2011 ნიუ იორკი

Relation – In Memorial Day

**US federal holiday observed
on the last Monday of May**

- ორი ამბავი მაქვს. ერთი კარგი
და ერთი, ძალიან კარგი,
ჯერ რომელი გითხრა?
- კარგი.
- ოქეი... ჩემი მეორე რომანიც
გამოიცემა ნიუ იორკში.
- რაა!? ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

და... მოიცა... ღმერთო... და...
ძალიან კარგი ამბავი რაღაა?
– მიყვარხარ.

ზოგჯერ რაღაც ისე მავსებს
მთელი ტანი მიბუჟდება.
ნუთუ მართლა, მართლა ასე
განგიცადე და ტუჩებთან

ჩემი სუნთქვა დამრჩა ადრე,
ნუთუ ახლა, ნუთუ მართლა
მე ეს სიტყვა შენ მოგანდე
და დღემ ღამე განაახლა

და გაგრძელდა უსასრულოდ
დროდან ამომხტარი წამი,
სწორედ იგი გისახსოვრე,
სხვებზე ადრე მოვასწარი.

დ. 30 მაისი 2011 ნიუ იორკი

Uptown Crossing

წყლის საცავნი სახურავებზე.
კონუსის ხუფით ცილინდრულ ავზებზე.
ეს ნიუ იორკია, თავის კიბეებით.
ასე სართულ–სართულ კედლებზე ადგმული.

ათდოლარიანი დავახურდავე.
ქუჩაში იდგნენ და ყულაბას ავსებდნენ.
ვილაცეები. მათკენ ვიხედები.
ტანი ტატუებში, ამ უბანს გარს უვლის.

მათგან ერთ ერთი მომიახლოვდა.
წრე შემოხაზა ირგვლივ და დადგა.
ფული ჯიბეში ჩაყარა. აგდებით მითხრა:
იცი ვინა ხარ ვინა ხარ მართლა?

- მე პოეტი ვარ. არ შეგეშინდეს.

- შემეშინდეს?! რისი?! – სიცილი დამიწყო.

- ძვირფასი განცდების ვაგროვებ ნიშნებს,
მხოლოდ სიმართლეს გეტყვი და ამიტომ.

სახე ეცვალათ. უცებ დადუმდნენ.
და ცას ახედეს, ასევე ჩუმად.

დ. 31 მაისი 2011 ნიუ იორკი

World Edition

პირველი ივნისი დემნას დაბადების დღეა.
როდის ჩამოხვალ დემნა ნიუ იორკში?
აქ მაგრა გელიან. ნიუ იორკი შენი ქალაქია.
ამერიკაა შენი ქვეყანა და საქართველო

და მთელი ქვეყანა შენი ქვეყანაა,
ევროპა, აზია. რა მნიშვნელობა აქვს.
დიდი ბრიტანეთი რა, არ არის შენი?
ან ესპანეთი, იტალია და ჩრდილო
ქვეყნები დემნა,

სკანდინავია და აფრიკა დემნა,
ავსტრალია, სამყაროა შენი ქვეყანა
ყველგან, სტოკჰოლმის ქუჩებში,

ვარშავის ქუჩებში, კიევის ქუჩებში,

ბუენოს აირეს, შენ ჩემ ხმას წაიღებ,
მუშებმაც აიღეს სულ მთელი ბარგი,
ჩვენ ვმოგზაურობთ და მოგზაურნი
ყოველთვის, ყველა დროს, ერთმანეთს
ვგავდით.

რადგან ჩვენ ვიტევთ მთელ ჩვენ სამყაროს,
აქედან იქამდე, მთელ ჩვენ სამყაროს
და უცხო ქვეყნებს ხმას თუ მივანვდენთ
და ყვავილებიც გზად გვინდა დავყაროთ,

ჩვენ გვეყოლება უთვალავობით,
უთვალავობით გამგონე, მოძმე.
ცალ-ცალკე ყოფნას დავამთავრებდით.
შთაბეჭდილებებს დღეს ან ხვალ მოგწერ,

თუ რა განცდებით გასტანა ჩემში
დიდი ოკეანის მთელმა ისტორიამ
და ზოგი წამი ჭკუიდან შემშლის,
ხან ჩემთან რჩება და ხანაც დროს მიაქვს.

დ. 1 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Manhattan Walls

მანჰეტენზე კედლები დიდდება
აქ ვინ გაარჩევს შუქებს და ჩრდილებს.

ღმერთო ის გოგო რა ლამაზია...

ყველაფერს თან ახლავს სევდა და დიდება

მომეცი ეგ ჩანთა ახლა მე დავიჭერ.

და ეს კედლები სულ სადღაც ადიან
ჰეი მოიცათ, მეც ამიყვანეთ.

იმ გოგოს ხედავ? მითხარი ვინ არის...

გვანან ღამით და გინდ დილა ადრიან
შუქები წეროებს, ჩრდილები ყვავებს.

როგორი სახე აქვს, რა კაბა აცვია...

ხედიც მანჰეტენის რა თრთოლვით გადადის
ბრუკლინის ნაპირზე, კედლებიც თრთიან.

როგორი მორცხვია, სახე მომცინარი...

აქ ბევრი შეხვდა თავის ანგელოზს,
მფარველ ანგელოზს, უფრთოს ან ფრთიანს.

დ. 1 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Broadway

ქუჩა მოძრაობს. ეს ქუჩა მოძრაობს.
თან მთელ მანჰეტენს დიაგონალზე ყოფს.
აქ დავსხდეთ, გავჩერდეთ და ხალხს
დავაკვირდეთ,
საათს არ შეხედო და გავა დროც.

შეხვედრა სამზე გვაქვს ჰო ჩვენ დანიშნული?
კი, ახლა პირველია, ყველაფერს
მოვასწრებთ,

...ბროდუეის სურნელი...

...ბროდუეის სურნელი...

შენს ბიოგრაფიას, ყველა შენ მონაცემს

აქ უკვე საჯაროდ განიხილავენ,
შემოთავაზებაც ბრწყინვალე გექნება,
თავს დაგატყდება ყოველი მხრიდანვე
ერთდროულია და ლამაზ ფერებად

არავინ გიხატავს სამყაროს, არავინ,
რაცა ხარ, ვინცა ხარ, აქ ყველამ იცის,
შენ შენივე თავს არავის პარავდი,
შენ შენი ცეცხლით ანათებ, იწვი.

ბროდუეი მოძრაობს, მოძრაობს, გრძელი
ქუჩაა,
ერთად მოძრაობენ, ერთად ერთობიან
ადამიანები, სიზმრებიც სულ დააქვთ
თავიანთ ფიქრებში, აქ არ ვგვიანდება

და მათ სახეებში ერთად ვირეკლებით
მე ჩემ სიზმართან და შენთან, შენთან ერთად,
როგორც მითიური ზღვების სირენებით
ისე მათმა ხმებმა, ნაკადს მიმაერთა,

ჰო, დრო მალე გადის, მალე სამი ხდება,
წამო რაზე ფიქრობ, მიიღე რჩევა
ხალხი ოცნებებს ატარებს ფრთებად,
აქედან ფრენენ, ბროდუეი რჩება.

დ. 1 ივნისი 2011 ნიუ იორკი

After Party in Hotel Standard

ექვიანი არ ვარ, მაგრამ
ზოგჯერ ეჭვი მეპარება.
ზურგიდან მეპარება.
ჩემთან ყოფნა გსურს..?

დასანყისი გავს დასასრულს.
დასასრული კი დასანყისს...

არა მე არ მწყინს, კოცნა
თუ არა გსურს, მე ხომ
ცხოვრება თავიდან ავანყე.

გამოვა თუ არ გამოვა..?
თავში სულ ამ კითხვას მიჩენს,
მერე შუბლზე ხელს მოვისვამ
და ეჭვიც ქრება ჭრელთვალებაჲ,

შენში ეჭვი არ მეპარება.
არც ჩემშია საქმე.

ღრუბლებს ვხედავ ცის
ფარდებად, მათი ფანტავით
დავასაქმე,

საკუთარი თავი და შენც, ყველაფერი
კარგად გქონდეს, როგორ მინდა რომ
იცოდე. ერთნაირად თავს მბებზრებს
სულელიც და ყოვლისმცოდნეც.

ახლა ძალიან დაღლილი ვარ.
ორსაათნახევარი ლაივი მქონდა,

უკვე მერამდენედ ცოცხალი სივრცე
ხელისგულზე მიდევს, ... ჰოდა

მინდა ავიღებ და მინდა მივცემ
სიტყვას, რასაც ვისურვებ ისეა იქნებ,

ათასი ენერგია, წარმოშობს სიტყვას,
ათასნაირად და უთვალავჯერ
მე ხომ სიმართლეს ათასჯერ მითქვამს,
ხშირად წერილებს ახლოს გულთან ვწერ,

პოეზიას კი პირდაპირ გულში.

დ. 1 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Murray Hill

ახლა და ამნამს სამყარო იცვლება,
დასანვავს დანვავს ცეცხლი ცვლილებების,
ძალიან მომნონს ფერების ცვლილება,
როცა ღამე ჩნდება შავად ვილებები,

მერე ვილებები ლურჯად, ლურჯი ფერი
როცა დილით ჩნდება ჩემი ნიშანია,
ის ხმას არ იღებს და თითქოს გულში მღერის,
იმ კაცს, თაიგულიც ნეტავ ვისთან მიაქვს,

მითხარი თუ იცი,
რამდენი რამე,
რამდენი რამე უნდა ვიცოდე,
მითხარი თუ ისმენ,
რამდენი რამე,
რამდენი რამე უნდა მესმოდეს,

ჩემსას ვუყურებ, არა სხვის ცოდვეს.
შენთან ახლოს ვარ მუდამ მეც რომ დღეს,

ახლა აქ არ ვიყო, ახლა აქ არ ვიდგე,
აბა ვინ უნყის სად ვიქნებოდი,
საიდან მოვდივარ, წავალ საითკენ,
მე კარგად ვიცი და მაინც ჩვენ ორნი

ახლა ნიუ იორკის სწორედ ამ მდებლობაზე
იმ ყვავილებიან კაცს რომ ვუყურებთ,
ვხვდებით რომ ვიცვლებით და მინდა რომ
გვჯეროდეს ნათებაც ეცვლებათ დღისით
შუქურებს.

ზოგი ჩვენგანი კი იგივე რჩება.

დ. 2 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York Secrets

ჩემს ბედისწერას ბოლომდე დავაცდი.
ღმერთს არ ვაცინებდი. არაფერს ვგეგმავდი.
სხვადასხვა ფიქრით, სხვადასხვა განცდით,
მანძილი, ენა, განსხვავებანი,

მგონი ჩვენ შორის არაფერს შეცვლის,
ჩიტები აფრინდნენ აგე იქიდან,
ცოტა ხნის მერე დრო მოვა წასვლის,
სიგარეტს მოვწევ და შენ იკითხავ:

– რალა მოხდება, რა მოხდა მანამდე, –
მე გეტყვი, გეტყვი და დრო მალე გავა,
შენ დადუმდები და ხელს დამადებ
და ეს დუმილი არაა ალბათ,

ან საიდუმლოც არაფერია,

ან საიდუმლოა თვითონ ქალაქი,
სიზმართან ახლოს გადაფენილან,
მისი შუქები, ჩემში ვმალავდი

ადამიანთა სახეებს, ხილვებს,
ყველა შემხვედრის ხმებსა და ფიქრებს,
გაგიკვირდება და დაიკვივლებ,
ან საკვირველი არცაა იქნებ,

შევხვდებით ისევ, ახლა მშვიდობით,
მე სიზმარს ვხედავ ისევ თავიდან,
თან მიხარია, სადღაც მივრბოდი,
თან გული მწყდება დრო რომ გავიდა.

დ. ჰ ივნიისი 2011 ნიუ იორკი

American Glory

თავისით მოდის და შენ გვერდით დგება,
შეგრძნება ერთი, ძალიან უცნაური,
მსგავსი არ მქონია, არც სიზმრად,
არც ქვეყნად. ყველა ჩემი ჩვევა დღეს
დავინარსულე.

განაგრძე, განაგრძე და ჯერ არ გაჩერდე,
შენ მე მჭირდები. გესმის ჩემი ხმა? შენმა
სიზმარმა, გამოლვიძებულს, მე სააქაოდ
რა დამახვედრა.

გლორი გლორი ალილუიაჰ!
მხრებზე დაიტევ სამყაროს ფრთებად,

ნეტავ ვიცოდე ჰაერს სად მიაქვს
გამქრალი ცეცხლი, ისევ რომ ჩნდება.

ნატვრას ჩაიფიქრებ, დახუჭავ თვალებს.
ცეცხლი კი გაქრა, სული რომ შევუბერე,
ამბავის თხრობაც დილით დავამთავრე,
ფრთოსნებს ავყურებ, ზემო უბნელებს,

ცათამბრჯენებზე სხედან და თვლემენ.
განსაცდელი მაქვს ბევრი რამ ქვეყნად.
შეგრძნება ერთი ძალიან უცნაური,
თავისით მოდის და ჩემ გვერდით დგება.

დ. 4 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Avenue Blue

ახლა ყველაფერი მგონი კარგადაა.
სიზმარში, წამილო სილურჯემ ვითომ.
ვარსკვლავი წყდება და სადღაც გადააქვს
ის ცის ნატეხი ვინც იყო თვითონ.

ასე გადავდივარ გულიდან გულში,
გვარნი იცვლებიან უცხო სახელებად,
ლურჯი გზა ვნახე, ჰო, გზა იყო ლურჯი,
ეს ფერადოვნება ყველგან მახსენდება,

იცი, ამ ლურჯ გზაზე სხვა მწერლებს
შევხვდი,
ანდრეა სკრიმას და ნიკოლა კიგანს, წითელი,
შავი, ლურჯი და თეთრი, ჯერ არავისთვის
არასდროს მითქვამს, ფერი და ბგერა, სად

როგორ ჩნდება, და მათ იციან, ორივე
მიყვარს,
ორივე მათგანი მივიღე ჩემად, მეც არ ვიყავი
უცხო ან ვიღაც. სამივემ ვნახეთ მომწყდარი
ვარსკვლავი, თითქოს მის გვერდით ვიდექით

სამივე, შორიდან პლანეტას
გავევარსკვლავეთ,
ვიცი, სიზმარის დღეს სადაც წამილებს.
Great! –

ვთქვი და დავამატე – Absolutely great! მინაზე
მდგარნი ზეცას ავყურებდით, რომ
ჩამოგვეყვა

ზეცაც ქვევით. ანდრიამ და ნიკოლამ,
გაიცეკვეს
საყურეთი. თქვა ნიკოლამ ცეკვის მერე: –
Abso fuckin lutely great!

დ. 5 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York Afternoon

რკინის აივანი ლურჯია.
აივანზე ვზივარ. ზუსტად ჩემ
პირდაპირ ემჰაირი დგას...
და ზემოთ ღრუბელი...
და ქვემოთ ხალხი...
აივანზე ვზივარ.
მიდგას მაგიდაც.

სიგარეტს ვენევი. აქ სიმშვიდეა.
ზოგჯერ თუ შევიმჩნევ მანქანების

ხმას. ის ხმები იმ ღრუბლებს
გამოდევნიან... შვიდი დღე
სადღაც მალლა ეძინათ.

რკინის აივანი ლურჯია. აქ სიმშვიდეა.
მეუცნაურა ეს წამიც ძალიან. ვიგრძენი
თითქოს ვიღაცის სიახლოვე...

ღრუბლებს შუქები წვეთებად დაცლიან,
ტივტივებს შუადღე. ემპაირს მიაგორებს.

მიასრიალებს ჩემს ირგვლივ ყველგან,
აქ ასე ახლოს დგას შუქის სურნელებაც,
ადრე ყველა ღრუბელს სახელი ერქვა,
ზოგჯერ უნათებს და ზოგჯერ უბნელდება

აივანს ჩრდილი. ხალხნიც ტივტივებენ.
შუადღით ყოველთვის რაღაც სიჩუმეა.
მე წამებს ვიჭერდი, ვუშვებდი ბევრჯერ,
მიიღე ეს წამიც – შენთვის მიჩუქნია...

... ხედავ? უეცრად შუადღეც გაქრა,
წავიდა სიჩუმეც, მანქანის მიჰყვა ხმაც,
ის ორნი ერთმანეთს უყურებს მართლა,
და ამნამს ამბობენ ალბათ მიყვარხარ.

დ. 6 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York Victory

- ყავა გინდა დეფ? ჩაი? ან...
- შენ მინდისხარ.
- მე აქ ვარ.

– ეს კაბა გიხდება.
– მაღლობა.
– მოდი ჩემთან. ხელი მომხვიე.
ფოტოები გადავიღოთ და
მერე...

ვიქტორია. სახელი შენი, მე მანუგეშებს.
ვიქტორია. შენი ხმა, როგორც წყალი
წყურვილისას. ეს დღეც დროს მიაქვს
და თითქოს ქუჩებში, ალბათ ასეთი
განცდით ჩაივლიდა

უთქმელი რაღაც, რაღაც სამუდამო,
რაღაც სრულყოფილი. ძალიან ნაცნობი.
შეგრძნებას ასეთს, როგორ დავუმალო
სული, რომელსაც შენით ვატბობდი,

ჩემ გვერდით ზიხარ და ჩემშიც შემოვიდა
შენი გულისფეთქვა, ვიგრძენი ვიდრე
აი ის ფრთოსნები, აი იმ შენობიდან
ჩემი სუნთქვებივით ხიდზე გადაფრინდნენ,

ნიავი, ტალღა, ნაღმა უკუღმა,
ზღვა თევზებს მივცეთ, ზეცა კი ჩიტებს,
მე შენ ბეჭდიან მტევანს ვუყურებ,
რომელიც ახლა ჩემ მკერდზე გიდევს.

დ. 7 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Freedom Place

დღეს ჩემ ლიტ აგენტს კაფეში შევხვდი.
ირმის ნახტომთან, გზად დაღვრილ რძესთან.

აფთაუნში ვარ. მივდივარ ფეხით...
ჰმ, ჩემ ლიტ აგენტს რა მაგრად ეცვა...

ათასი აზრი წამში ჩამომცვილდა.
გონება დამშვიდდა. ახლა წყნარად ვარ.
ვბრუნდები თითქოს დიდი გამოცდიდან,
მადლობა ღმერთს რომ კარგად დამთავრდა.

დღეს სახლში ვიჯდები ნიუ იორკს იქიდან,
როცა გადმოვხედავ უისკისაც მოვსვამ...
აგე ის წეროც ხიდისკენ მიფრინავს
და ჩემი სახეც პირისპირ დროსთან

მიბჯენილია. სუნთქვას ვაგრძელებ,
გაპნეულ წამებს ის უკან მომთხოვს,
მე ბგერებს ვხედავ როგორც წარწერებს,
მოლურჯო შუქებში დაისის ოქროს.

დ. 8 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York Interview

ნიუ იორკი ხომალდია. უშველებელი ზღვების
ხომალდი და ზემოთ იფრენს თავს და
საუბარს,
ვინც ახლიდან. მიზანს მოვარტყი.

კითხვა პასუხი. ჯერ სიჩუმეა. მხოლოდ
ღიმილი.
თბილი ენერგია. სითბო გარს უვლის
ჩრდილებს.
წინ ვივლით, ჩვენი შემხვედრნი ძმებად
გვერგებიან.

მე ახლა რა მსურს... რა მინდა მოხდეს...
წარმოვუჩინო
ჩემი სამყარო? მათ უკვე იციან ამის შესახებ.
ჩემივე
სიჩუმე მოვასმენინო? ის ხომ ოქროა,
ხელსაც შეახებ.

ჩვენ ახლა ოთხნი ვართ ოთხივე მხარეს.
ხომალდი
მოდრობს, მძიმეც და მსუბუქიც. სწრაფი და
მაღალი,
ულამაზესი. ჩიტი მომყვება, გზები
დავლალეთ.
მხარს იმ ჩიტს მივუშვერ, უმალ მხარზე ზის.

სთარბაქსში დავსხედით ინტერვიუსთვის.
კრაისლერის
შენობასთან ორმოცდამეორე ქუჩაზე. – ჰაი
ჯოი! ჰაი კიმ!
მზად ვართ, შეგვიძლია, – კითხვებზე ჩემი
პასუხი,
მე თავს ვუბრძანე

სხარტი ყოფილიყო და ასეც მოხდა.
სასიამოვნოა.
თვალეებში ვუყურებთ ყველანი ერთმანეთს,
ცხელი
გამოხედვა. საუბარს ინერენ, მე ქსელში
შევდივარ,
ნოუტბუქით, დიქტოფონით, ტელეფონით,
ხელით,

ინერენ, ქარგავენ კალიგრაფიას, ჩემი
სიტყვების
ინგლისურ იერზე. კრაისლერს სულ ზემოთ
ფრთოსანი უზის. იქიდან დამყურებს
და გვერდითაც მიდგას. მე ახლა სამყაროს

ჩემ
ტვინში ვიერთებ, გემი რადგან ვარ, ჯაჭვიც
მაქვს
ლუზის. კი, მდუმარება ოქროა წმინდად.

Wild River Review New York June,9 2011

დ. 9 ივნისი 2011 ნიუ იორკი

West End Avenue

სიცხეა. ოქრო გადნა. გალღვა
ჩემ სხეულში. დარბილდა სანაპირო,
დაისი დარბილდა. მე თავის ნებაზე
სიზმარნი მივუშვი. მალლიდან ფრენენ,
ჰო, აიქ, მალლიდან.

ოქროს წვეთები. დაისის ბგერები.
დღეს დაბადების დღე არის ძმაცაცის,
სულ ახალგაზრდა ხარ, ზოგჯერ თუ
ბერდები, და მაინც წავიდოდი და
მაინც ვნახავდი

დასავლეთს იქით სხვა გარდასახვას,
აღმოსავლეთის ახალ სახებას. დაისის
ბინდმა შუქი გადამასხა. ასეთ დროს
ყოველთვის, რა მემართება.

თან მიხარია. თან გული მწყდება. წამით
თვალს მოვკრავ თითქოს ღვთის ხელებს,
თუ ველარ შევხვდით, გაიქრე წყენა.
ყველგან ყოველთვის შენ გაგიხსენებ,

შენ ხომ ჩემ სიზმრად ბინა დაიდე. ჩემთან მოდიხარ, სხვა დარბაზიდან. სიჩუმის ვისმენ მე ისევ იმ ხმებს. როცა კითხულობ რა ლამაზი ხარ.

დ. 10 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Hello I Love You

ნიუსებში თქვეს, ხომ არ გაგიგია?
თურმე რალაცა მართლა არსებობს.
სიკვდილის შემდეგ რალაცა არის,
ახალი სიცოცხლე, თურმე ჩვენ
გარშემო.

ნიუსებს ვიცი, შენ აღარ უყურებ,
ღმერთო მიშველე, რალა გვეშველება,
რა ბედი ეწევათ წმინდანებს, ქურდებს,
პოეტებს, ტაქსისტებს, სხვადასხვა შრეებად

როცა შეიქმნა საზოგადოება, ერთმანეთს
ვკარგავდით და მგონი გადავრჩით, წამი
დაკარგული მთლიან დროს მოება და
ზოგჯერ
სინათლეც, რგოლით, გავდა ჩრდილს,

რგოლში ყოველთვის წრფეებს ვგულისხმობ,
ამიტომ არიან უსასრულონი. თუ კი ოდესმე
ჩემ სხვა გულისსწორს სული დაეკარგა,
გულსაც ვუპოვნე,

ნუ ეშინია, მე ახლა აქ ვარ. უთხარი ჩემგან ნუ
ეშინია. თანავარსკვლავედს ტყუპების

სახლთან
უკან იბრუნებს თითქოს შინ მიაქვს, ყველგან
გადაშლილ ზეცას სამყარო,

ჩემი სხეულიც ფიქრებთან ერთად.
სიზმრებიც ფერფლივით მსურს
გადავყარო. ვარსკვლავს სახელი შენი
დაერქვას.

ნიუსებს ვერა, ველარ მივუსწარი, მაგრამ
გაკავშირებ ყველა სიტყვასთან. შორიდან
გხედავ, შეჩერდი წამით, ჰეი გამარჯობა,
მე შენ მიყვარხარ.

დ. 11 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Columbus Circle

საოცარია განწყობა. საოცარია
განწყობა. შეიყვარე შენ და
მილიონები შეიყვარებენ. და
სიკეთეებს უყვართ აქ ყოფნა
და სიკეთეებს უყვართ აქ ყოფნა,
რა უცნაური სამყარო გვერგო,
შევხვდებით ისევ, ხვალ ან ზეგ.

დღეს კი იხარე და შენთან ერთად
მილიონები გაიხარებენ. ბედნიერი
ხარ, თუ საიდუმლოს არსი გაიგე და
ამოხსენი. თუ მარტონი ვართ ჯანდაბა
ჩვენ თავს, მე ვარსკვლავების ვსწავლობ
სახელებს და ისევ მჯერა, შორს
სიბნელისკენ, დასალიერზე შუქის
გამოჩენის.

დ. 12 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Barnes & Noble

მე ჩემ სიტყვებს ვწერ და შენთან ვგზავნი,
სუნთქვამ სიტყვები მაღლა აზიდა, იქ
ასვლას ნატრობს ყოველი მგზავრი, როცა
კითხულობ რა ლამაზი ხარ.

დ.13 ივნისი 2011 ნიო იორკი

W84 Edgar Allan Poe St

უესტ ენდ ავენიუსა და
ედგარ ალან პოს ქუჩის
კუთხეში სიგარეტს ვწვავი.

მოხუცი კაცი ძაღლს ასეირნებს.
ვეკითხები: – რა ქვია ძაღლს?
– ჯერი, – მპასუხობს.
– ო, ჯერი! – მეღიმება, – ძაღლისთვის
ჩემი საყვარელი სახელია, ყველა ჩემ
ძაღლს ჯერი ერქვა.

– ყველას? – იმასაც გაეღიმა, – ქუულ, –
თქვა და გზა გააგრძელა.

ძაღლი კი შეხტა და ჩემკენ გამოიქცა,
ყფა დაიწყო და კუდის თამაში.
მთელი პირით იცინოდა.

მოზრუნდა პატრონიც, – ვიცნობდეთ,
მე დევიდ მქვია, – მიღიმის ხელს მიწვდის.

– მეც, მეც ასე მექვია, – ხელს ვართმევ და სიგარეტს ვაქრობ.
– აქ შეხვედრა გაქვთ? ვინმეს ელით? – მეკითხება... ჯერი კი ჩემ ირგვლივ დარბის.
– არა, აქვე ვცხოვრობ და გამოვისეირნე... რაო ჯერი... – თავზე ხელს ვუსვამ, ის კი მახტება, –
ეს საოცარი ადგილია... ედგარ ალან პოს ქუჩა.

– ო, გიყვართ ედგარ პო? ჯერი მოდი აქ! – ძალღი პატრონთან ბრუნდება...
– ძალიან, ყველაზე, ყველაზე მეტად. საოცარია, არავინ ამბობს, მოგნონთ ედგარ პო? კითხვა შემდეგშია, გიყვართ ედგარ პო? ეს დიდი განსხვავებაა... ჩემი ედგარ პო, ის სრულყოფილია.

– უცნაურია, – ამბობს და თვალებში მიყურებს, –
მე აქ ადრე, წლების წინ, ჩემ ცოლს ჩვენი პირველი შეხვედრის ადგილი დავუთქვი. ივნისი იყო მაშინაც... მასაც ძალიან უყვარდა ედგარ პო. საოცარია ივნისი ნიუ იორკში, – სადღაც იყურება და სახეზე ჩრდილივით უკრთის რალაცა ფიქრი. ეს სევდაა. არაფერს ამბობს, მაგრამ მე ვხედავ, მას ის ერთი წამი ახსოვს, ან ახლა ახსენდება, რომელიც ექცა მარადისობად.

დავემშვიდობეთ და ის წავიდა,
ჯერისთან ერთად აღმართს
აუყვა...

მე მეორე სიგარეტს ვუკიდებ...
ედგარ ალან პოსა და ბროდუეის

გადაკვეთაზე ავდივარ...
ოთხომცდამეოთხე ქუჩა, უესტ,
თითქოს დამესმის რაღაც მაღლიდან
სახეზე ღიმილი მოუჩანს ღმერთს.

დ. 14 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York Frisbee

უნდა გაუშვა და ხელიც სტაცო.
ულამაზესი თამაშია. ძალიან
ჰაეროვანი. მსუბუქი. გაშლილი,
ფრენისთვისაა გამოგონილი.

მინდა იფრინო, სიმაღლეს შენვდე
და ეს მომწვანო ავტომობილი,
რომ მოგაკითხავს კონცერტის შემდეგ,
მინდა იფრინო ისევ და ისევ.

ფრენს, ფრენს ... სიფრთხილე მმართვეს,
სინაზე მმართვეს, მე მშვიდად ვსუნთქავ,
ფრენს, ფრენს თავისუფალი ჩემი სული
და სამოთხის უკან ... კიდევ ბალია, იქაც

ასეთი ღამეებია, იქაც ასეთი შუადღე იცის
და იქაც თამაშობენ ანგელოზები. ფრენს,
ფრენს, ჰაერზე ტივტივებს, კონცერტის
მერე აქ გელოდები ... ბგერებიც ასევე,

ასევე ფრენენ, ო ეს სიმფონია სულის
შედეგია. ფრენენ და ფრენენ
თავისუფალნი, ბრუნავენ ბრუნავენ
ჰაერში ჩერდებიან ... და წამიც ჩერდება,

რა აკორდებია, რა მუსიკაა ... მე ფრისბის
ვთამაშობ, ვისთვის სად როგორ, წყარომდე
მიაქვს ეს წამიც წვეთებს, სადღაც მათ
შორის
ალბათ გავა დროც ...

დ. 15 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Manhattan's 12 Avenue

თორმეტი გზით, მე შენთან მოვდივარ.
ღამე მოვკარი წამით თვალი სხვის.
თორმეტი ფანჯარა სხვა სხივებს
ბროლიდან, თორმეტი კარით შენ
გულს გამიხსნის.

დ. 16 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York Days

June 16 17 18

ეს სამი დღე მარგალიტია.
გითხარი მიყვარხარ.
არ დამითვლია.
რამდენჯერ გითხარი,
მაგრამ მიდიან
სიზმრებისაკენ,

სუნთქვანი ჩემი ჩემგან
მიდიან.

დ. 16 17 18 ივნისი 2011 ნიუ იორკი

Fathers Day

June, 19

ბალტიმორში ნავედით მე და სულის ხმა ჩემი.
ბალტიმორში ჩემი მასწავლებლის საფლავზე
ვარდები დავდეთ. ლექსები... და
გადავრჩებით,
მე მინდა გითხრა ჩვენ გადავრჩებით, ედგარ.

სიმშვიდე იყო. უინსტმინსტერის ტაძრის
ეზოში.
ხალხი გაქრა. მხოლოდ ჩვენ დავრჩით...

გილოცავ მამის დღეს. შვილი არ გყავდა
ვიცი,
მაგრამ მე მოვედი შენთან და მიიღე გთხოვ
პატივი ჩემი, ინვის. სამოთხე ინვის თუ შენ იქ
არ ხარ...

და ინვის შენს გარშემო თითქოს სამყაროც.
დღეს ცხრამეტია. შეხვედრა შედგა. ვილაც
დამპირდა სიზმრად გნახავო. მე შენთანა
ვარ, შენთან ვარ ედგარ...

შენ სახლთან გავჩერდით, წყალი დავლიეთ.
ნიუ იორკისკენ დრო მოგვდის წასვლის,
ყოველდღე ვხედავთ მალლიდან მთიებს

და საიდუმლოს ყოველი არსიც

ყოველდღე იხსნება და სულ გაიხსნა, ჩემი
სულის ხმა სად მიიჩქარის. ვხედავთ
სიჩუმეს, სულის მუსიკას. ბალტიმორს
უყვარს ყორანთა ხმანიც...

დ. 19 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York June 21

Cafe 'WHA?' st 4

– 43 წლის გახდი? გილოცავ. გილოცავ, –
სენტრალ პარკიდან სამმა მუსიკოსმა
გვერდით ჩაგვიარეს. ღამეა. მე ვუთხარი
მომწონხართ ძმებო, ტაშს გიკრავთ–მეთქი,
მანამდე მყავდნენ ნანახი. მაგრა უკრავდნენ.

ეს ნიუ იორკია.

ისინი მობრუნდნენ. ხელი ჩამომართვეს.
ჩემს ირგვლივ დადგნენ. ეგრევე დაიწყეს
დაბადების დღის სიმღერა.

ჯაზი ნიუ იორკში ჩემი სამშობლოა.

უსიტყვოდ. ულაპარაკოდ. სინათლით.
ისმოდა ჩვენგან. ჯაზი ნიუ იორკში
ჩვენი სამშობლოა.

კი ღამე იყო. ტაში შემოვკარი.
იმათმა ირგვლივ წრეები შეკრეს.

სამმა მუსიკოსმა. ის ერთი
მობრუნდა, ვინც ხელი ჩამომართვა,
დღეს დაინყო ზაფხული, – ასე თქვა, –
დღეს ხომ იცი მზის ბუნიობაა. ყველაზე
გრძელი დღე. ამ დღეს დაიბადე? რა
იღბლიანი ხარ. ყოველთვის მეტი დრო
გექნება.

როცა ნავიდნენ ტაშითვე გავაცვილეთ
და ჩვენ ყველანი უესტ უილიჯში ნავედით, –
აქ უკრავდა ჯიმი, სწორედ ამ ადგილებში
იყვნენ ისინი, ყოველთვის ნამდვილნი.

ლამე ნიუ იორკში...
ყოველთვის ნამდვილნი, ეჰ.

შევედით. ჩავედით. შუქები. ხმები. სიბნელე.
შუქები ისევ, – დევიდ გილოცავთ, – ამბობენ,
კივიან, იცინიან, მღერიან ჯორჯიას და
მღერიან სინათლით. ხმებში აქვთ სინათლე.
უკრავენ ნამდვილს და სინამდვილეშიც
ნამდვილი სისხლი გაედინებათ.

ეს როკენროლია ლამის ნიუ იორკში.
ო, ბლუზი. ეს ჩვენი სამშობლოა და პოეზია.

მე გამიძახეს. ტორტი და სანთელი.
სურვილი ჩავუთქვი და შევუბერე.
მე ლექსებს ვამბობ და შუქი იცვლება
და ყველას უნათებს უისკის ჭიქაც.
შავკანიანები, თეთრები მღერიან,
ლამეს ივნისში შუაზე ჭრიდა,

ჩემი იქყოფნა ჩვენი იქყოფნა.
მე შენი კოცნა მთელ ტანზე მივლის,
მთვარეს ხომ ლამეც დილისკენ მიჰქონდა,
– გილოცავ გილოცავ ოცდაერთ ივნისს.

დ. 21 ივნისი 2011 ნიუ იორკი

9 Days

ოცდაორი ივნისია. მზის ამოსვლას ვუყურებ.

ოცდასამის შუადღეა. პროსპექტ პარკში
დავდივარ.

ოცდაოთხის საღამოს, გზად ვყიდულობ ხუთ
ყურძენს.

ოცდახუთის შუალამეს ფიქრნი ფრენენ
მაღლიდან.

მეტროპოლიტენ მუზეუმს ოცდაექვსში
ვუმზერ რომ

ოცდაშვიდი ივნისისთვის სხვანაირად
გავიღვიძო.

ოცდარვაში ამოვიცნო შინაარსი ნიშანთა.

ოცდაცხრაში გავალო, ან გაილოს კარი
თვითონ.

ოცდაათი ივნისია. ისევ ისე მიყვარხარ.

დ. 22 – 30 ივნისი 2011 ნიუ იორკი

May The Dreams Come True

ნახე ყველაფერი რა მაგრად აენყო.
ხედავ რა ხდება? ჩვენ გამოგვივიდა!
ნახე ეს ქარიც, თითქოს ყველგან მღერის,
ხმა გვესმის მისი და გაღმა მხარიდან

გვესმის შეძახილი: – ჰეი! აქა ხართ?!
ჩვენ გვიხარია, რომ გაიმარჯვეთ! –
ო ღმერთო ჩემო. დიდება, ბარაქა,
ტკბობა დავინყოთ თავიდან, ჯერ

ჩვენ ერთმანეთის სიყვარულს ვაგროვებთ,
ჯერ ეს შევიგრძნოთ, ეს ერთი წამი,
ამისთვის ვითმენდით ყველაფერს ამდრომდე
და ახლა ვიცით საითკენ წავლენ

ჩვენი განცდები და ჩვენი გზები,
ჰეი ერთი წამით, შენ გეუბნები,
თავი დავთმე და ასე შევიცანი
და დროც მოვიდა უკან დაბრუნების,

მაგრამ ყოველთვის, ყველგან სახლში ვარ,
სახლშიც ვბრუნდები, ყველგან, ყოველთვის,
მე შენთან ყოფნა ყველაფერს მერჩივნა,
როგორც იმ ერთ წამს მთელი დრო ეტრფის,

ახლა კი ნახე, შეხედე, ხედავ?
ჩვენ სუნთქვებს ერთად როგორ აგროვებს
ჩვენივე სიცოცხლე ყოველი მხრიდან,
ამ წუთებიდან უკვე სხვა დრომდე.

დ. 30 ივნისი 2011 ნიუ იორკი

New York Father Ship

სახლში ვარ ანგელოზო. მფარველო ჩემო.
ჩემი უმსგავსობის და მსგავსების
მფარველო.

გარშემოვიქსოვე სიზმარნი წინდებად,
მე მინდა გაჩვენო, ლექსები გაჩვენო,
ვლირვარ გადარჩინად? პასუხი მჭირდება.

ორივემ ვიცით რალაც დაგვემართა,
ნისლი გემბანთა საით მიტივტივებს,
ხელისგულით დამაქვს წვეთების ამარტა
და ვხედავ იმ ხეებს, იმ თევზებს, იმ ჩიტებს,

რომლებიც სიზმრებში სიმბოლოებს გვანან,
მათი მსგავსებაც რა უცნაურია. უკვე
გათამაშდა
საუკუნის დრამაც და მონაწილეებს რაც
უნდათ
უქნიათ.

თუ კი რამ ისურვეს, ყოველი აუხდათ,
მეც უკვე სახლში ვარ, – ჰეი, ანგელოზებო,
ეჟო დამენია სხვათა ხმაურთა, მე მინდა
გაჩვენოთ ლექსები გაჩვენოთ.

გემბანიდან ჩანს მედუზების რხევა,
წყალში, სხივებში გამჭვირვალეები
და დღის სინათლეში გადაირხევა
საუკუნის დრამა, დამჭრის ღამე ერთი,

სიზმრად ნანახი ის ერთი სხივი,
ტანზე შემომეხვა და ფეხზე წინდებად,
მითხარით რა ვქნა, მთელი ხმით ვყვირი,
მითხარით რა ვქნა, პასუხი მჭირდება,

თუ მალე მთავრდება, მე აღარ მინდა.
თუ გაინელება, არც ასე მინდა.
მე მინდა დროული, დროული ცხოვრება,
ნამდვილი ცხოვრება, დღე როგორც ქმნიდა

მთელ საუკუნეს, მთელ საუკვდავეთს,
უშველებელი, ნამდვილი დრამა
მართლაც გათამაშდა, ჩვენ გაგვაუკვდავეს,
სიმბოლოები ერთმანეთს გვანან.

დ. 3 ივლისი 2011 ნიუ იორკი

Text Message

სათქმელი ისევ ძალიან ბევრი
და ზოგჯერ ფიქრობ რომ არც არაფერი.
რომ ვთქვა, 'გამიგე', გამიგებ? მიხვდები?
ისევ მღერიან ის ზღაპროსნები
ვის სული უსწრებს ხმათა წინსწრებით

და ზოგჯერ ფიქრობ რომ არც არაფერი,
ისეთი რამე ჯერ არ მომხდარა,
წლების წინ ათასჯერ გადანამღერი,
გადახატული, გადანანერი
და კვამლიც ასდის ისევ ორთქმავალს

და ისევ ფრენენ თვითმფრინავები
და ისევ ვშორდებით, ისევ ერთად ვართ
და ისევ ვაკაკუნებთ სამოთხის კარზე,
მე ბავშვობიდან ვილაც მეძახდა
და ის ვილაცა თავს მივამსგავსე,

ჰო, ისევ ფრენენ თვითმფრინავები,

ჰო, ისევ მოვინწყენთ ან გვიხარია,
სადღაც მივინევთ, მივიკარგებით
და სადღაც ვჩნდებით დილაადრია

და სადღაც შევრჩებით გვიან ღამემდე
და ისევ თავიდან სიცოცხლეს ვიწყებთ,
ო როგორ მინდა ზოგჯერ მგავდე მე,
მე კი შენ გგავდე, იმ დღეებს იმ წლებს,

როცა ვიხსენებ... და... რა გვეგონა...
არც არაფერი ისეთი რამე,
ზოგჯერ სიმაღლეც არ ჩანს ქვემოდან,
რა დამავიწყდა, რა გადავთვალე,

სათქმელი ისევ ძალიან ბევრია
და ზოგჯერ არ ელი არსად არაფერს,
მე სიტყვას ვეძებ და სულ ვპოულობ
და სულ თან დამაქვს და სულ ვახარებ.

დ. 3 ივლისი 2011 ნიუ იორკი

3:00 a.m.

ღამის სამი საათი. ძალიან უცნაური დროა.
ამ დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს.
დი ემ თი, ან სალვია, რომ მიიღო
მაინც მოვა შენთან ეს დრო, გახსოვდეს
ღამის სამი საათი.

ღამის სამი საათი. შეიძლება შეგეშინდეს,
თუ მზად არ ხარ ამისთვის, აჯობებს
რომ არ მიიღო არც დი ემ თი, არც
სალვია. ღამის სამი საათი. ააკვირდი

მნათობებს და გახსოვდეს მიდის დრო.

– შენ რა უკვე მონიე? – მეკითხება ერთი ქალი,
– რატომ მეკითხები ასე? – გამოვხედე,
წყალი მოვსვი,
– ვხედავ შენ ემოციებს და თავიდან ვერ გიცანი,
ამას რაღაც სასიკვდილო გემო დაკრავს,
როგორც კოცნის,

– არა. მე ჯერ არ მინდა შიში მესიამოვნოს, –
ვუპასუხე გამეფიქრა, რა ლამაზი ტანი აქვს,
ნავიყვანო ჩემთან დღესვე? და დილამდე
დავტოვო?
თუ ვადროვო, სიზმარს გავყვე, ლამის სამ
საათიანს,

დი ემ თიზე უარი ვთქვი, სალვიასი
მომერიდა,
ბატონებო ჩემ ადგილას ალბათ ასე იზამდით,
ტვინის დიდი საიდუმლო ამომეხსნა
გონებიდან,
თითქოს ხელში ფიქრნი შემრჩნენ,
განდობილნი ღვთისადმი,

სახლში მარტო წამოვედი, საკუთარ ჩრდილს
ვაბიჯებდი,
აღარც ღმერთი, აღარც კაცი, აღარც ქალი.
არავინ.
იმ წამს მე იქ არ მინახავს, არც დაისის
ნარინჯები,
ფიქრის გარდა საკუთარ თავს თითქოს
სულსაც ვპარავდი,

ლამის სამი საათი და, მივხვდი რატომ,
რატომ მივხვდი,
მივებარე თითქოს პატრონს, პატრონს ძე

უძღვებივით,
მე მაქვს ერთი სხვა თვისებაც, შემძლია
ვიგრძნო ფიქრი,
ანმყო იქცა თითქოს სხვა დროდ. ჩემ თავს მე
ვუძღვებოდი

სხვა გასავლელ ყველა გზაზე, ყველგან, ჩემი
თავისკენ,
გზად შიშებიც უკუ ვაგდე, მთელი ძალით
დავარტყი,
მასხოვს ის დღე, ის დღე მასხოვს სუნთქვა
როცა დავიწყე
დილის ცხრიდან, წრეზე შედგა ღამის სამი
საათი.

დ. 4 ივლისი 2011 ღამის 3:00 ნიუ იორკი

Hello New York New York Goodbye

ერთი მიმართულებით ერთად გავიხედოთ.
ზღაპრული რიცხვივით ერთად გავსამდეთ.
რაც გინდა მკითხე, ა... უკვე მკითხე ხომ?...
პასუხი ვიცი კითხვის დასმამდე.

როგორ მთავრდება ჩვენი ცხოვრება,
შეგიმჩნევია როგორ მთავრდება?
პასუხი ვიცი კითხვის დასმამდე.

მოდით გავიგოთ ახლა რა მოხდება,
დროებით თუ გინდა ერთმანეთს ვუყუროთ,
რამე შემოგრჩა ძველი ოცნება?
ცხოვრებას შეძლებ, თუნდაც უფულოდ.

მე მეოცნებე არა ვარ, იცი,
ცას მაინც მინდა ერთად ვუყუროთ.

ამბობენ ასეთ დროს გიყვარდებაო,
როცა ერთმანეთის მოვირგებთ სახელებს
და გინდაც დავშორდეთ გინდ ერთად ვიყოთ
და გინდაც წამით თავბრუც დაგეხვეს,

თავს ცოცხლად იგრძნობ, სიცოცხლეს
იგრძნობ,
იგრძნობ რალაცას ჯერ თითქოს უთქმელს
და იგრძნობ წამებს სულ თითო თითოს,
სულს თითქოს თითქოს სინათლე უდევს

თავის ფსკერზე ან თავის მწვერვალზე,
თუკი გააჩნია რაიმეს ფსკერი,
თუკი მწვერვალიც რაიმეს ააქვს
და სულ თან დააქვს და სულთან მღერის

ჩვენი დროება და ბგერებს ივსებს,
ოჰ, ნიუ იორკიდან წასვლის დრო მოდის,
წავალთ, ჩვენ წავალთ და მერე ისევ,
როდის ოჰ როდის, ჰო მართლაც როდის,

აქ დავბრუნდებით, ერთმანეთს ვნახავთ
და ერთმანეთის სახელებს მოვირგებთ
და ლექსებს ახალს ან ძალზე ახალს
ჩვენ ჩაგვაგონებს აის ორი დღე,

დროის სარტყელი რომელსაც სულ ცვლის,
სრულ სიჩუმეში ჰირისპირ ვიდგეთ,
მინის იერით სხეულს და სულს ცის
დაე ემგვანოს სხვა კიდევ ვინმე,

ვინც ახლა ისმენს ჩვენივე საუბარს
ჩვენთან ჩვენთან ჩემთან და შენთან
და ყველა დროსთან კავშირი გაუბამს
ჩვენთან ჩვენთან ჩემთან და შენთან,

მშვიდობით, მშვიდობით ჩვენ ისევ
შევხვდებით
ისევ გადის დრო სამარადისოდ,
ჩვენც გზას ვაგრძელებთ სულ უფრო ზევით
სამარადისოდ სამარადისოდ.

დ. 9 ივლისი 2011 ნიუ იორკი

Yeah Baby

თვითმფრინავი აფრინდა. ბოინგი.
ვარშავის გავლით თბილისში ვბრუნდები.
მე დიდი რბოლა მოვიგე.
ბოინგის ილუმინატორთან
ფრთასთან შუქი მისრიალებს
და შენ სახეს მაგონებს.

ყველაფრისთვის მადლობა.
ივლისის სალამო ზეცაში წითლდება.
გარბოდა დრო სად გარბოდა.
უცნაურია ზოგჯერ ღვთის ნება.

ღმერთიც გიჟდება ალბათ ნიუ იორკზე,
აქ არაერთხელ იქნება ნამყოფი,
ღმერთი ღმერთია რადგან განკაცდა,
უსასრულობაც რადგან არ ყოფნის.

ყველაფრისათვის მადლობა.
ფიქრის სიჩუმეს, მიყვა გულის ხმაც,
სევდა ხარ ჩემი, ძენკვი შეიბი,
ეაჰ ბები, სიხარული ხარ.

დამთავრდა მეგობარო დიდი წარმოდგენა,

მე შენი ხმა მესმის უკვე სხვა მხრიდან,
დამთავრდა, მაგრამ არ მოინწყინო,
თვითმფრინავი ხომ უკვე აფრინდა.

დ. 10 ივლისი 2011 ნიუ იორკი

ქეთის - აქუონის შინაარსს

„თუ გეყვარები?“, შენ მეუბნები,
მე კი გპასუხობ, „უკვე მიყვარხარ.“
ჩვენი მომავლის ალბათ წინსწრებით
აქყოფნის შინაარსს, გნებავს სიტყვათა

ჩვენ მაშინ ვიგებთ, როცა ჩუმად ვართ,
როცა ერთმანეთს სიჩუმით ვამკობთ,
როცა კი ვაფენთ ჩვენივე სუნთქვასთან
სიცოცხლეს ჩვენსას, ყველასთვის სამყოფს,

როცა კი ვიაზრებთ საგნების შინაარსს,
როცა ერთმანეთში ვქრებით და ვჩნდებით,
როცა მეტყველება სიმღერას მიაგავს,
ბგერები, როგორც ძვირფასი თვლები

მიმონათებენ ჩვენს ყურთასმენას,
ვუსმეთ ერთმანეთს, მიღმა ვიყურებით,
სადაც არ არსებობს შიში და წყენა,
სადაც აღარაა ცა ცა თავის ღრუბლებით,

სადაც არც მინაა და არც სიზმარი
და არც საიდუმლო, მხოლოდ ნეტარება,
შეყვარებისას რომელსაც მივნატრით,
მისივე ნიაღში ყოფნა გვენატრება.

დ. 12 დეკემბერი 2014

ქეთის - შენს სიშვიდესთან

ღამით შუქების სამმხრივი წყობაა.
დილითაც მოჩანან. ყველგან მათ ველი.
ცეცხლის ჩასაქრობად რა მნიშვნელობა აქვს,
წყალი ცივია თუ წყალია ცხელი.

ნახე, ჩვენს ახლოს იმ შუქთა კრთომაა,
რომელნიც ყოველთვის ვიღაცას გვანან.
შენთან თუ არა ვარ რა მნიშვნელობა აქვს,
აქ დავბერდები თუ სადმე სხვაგან.

ღიმილს და სიჩუმეს თარგმანი არ სჭირდება,
ყველასთვის ერთია. ყველასთვის საერთო.
ყოფნის ჟინი დამაქვს, ვნება სამშვინველთა,
გულში ვარსკვლავი მყავს, ის შენთვის
აენთო.

სურვილი ტკბობის შენთვის გაცხოველდა,
სულიც გამომშიგნა ვარსკვლავებიანად,
ყველა ის ვარსკვლავი სახლია მშობელთა,
შენმა ღიმილმა დღეს გამამთლიანა,

საკუთარ თავთან და შენს სიმშვიდესთან
და შენს სიჩუმესთან ასე საიდუმლოდ,
თავის შინაარსს ჩემთვის იმიშვლებდა,
სიცხადე მინდა სიზმრად დავიბრუნო

და იქაც შემყვე, გონების სხვა მხარეს,
სადაც სხვაგვარია ყველაფრის აზრი,
აღმაფრთოვანებს, ყოველთვის მახარებს,
შენი გამჭვირვალე სურნელი ასდის.

დ. 14 დეკემბერი 2014

*

სიყვარული არსად ქრება. დაწერილსაც
ველარ წაშლი.
სასწაულს გსურს თვალი მოკრა. ღმერთის
საიდუმლო ნახატს.
იტყვი შენთვის - დავინახავ და ვინამებ
მხოლოდ მაშინ.
კანონი კი ასეთია - თუ იწამებ დაინახავ.

დ. 19 დეკემბერი 2014

*

მოდი სიყვარული
გავაუკვდავოთ,
ადამიანთა
და ცხადია
ღვთისა,
დაე თქვენს
გულებში
და სამუდამოდ,
მთელი სამყაროს
სიკეთე იშვას.

დ. 7 იანვარი

საქართველოს უნივერსიტეტი THE UNIVERSITY OF GEORGIA

დაე წარმატება
სიცხადედ იქცეს,
გზა და მიზანი
ერთმანეთს გვანან,
აქ განათლების
ვიპოვეთ სივრცე,
ჩვენი მომავლის
უსაზღვრო ძალა.

დაე სიყვარული
სამყაროს მართავდეს,
თავისუფლება,
ყველასთვის საერთო,
ყველა კარს გავადებთ,
ცოდნის დარბაზებს,
ჩვენი ვარსკვლავი
დაე აენთოს.

Libertas Humanitas Excellentia

დ. 15 იანვარი 2015

ქეთოს - სინათლე

სინათლე ჩემო
ცოლად შემეხორცდი.
ცალ-ცალკე ყოფნისგან
გადავრჩით ორივე.
სიხარულის და
ზეიმის პირობით,
მაცნენი ხვალის

დღეს ჩვენთან მოვიდნენ.

სუნთქვა საუნთქვას და
წამი წამს მისდევს.
ლექსებს კითხვებზე
პასუხი უთქვამთ.
სიცოცხლის მერე
გავჩნდებით ისევ
და გავაგრძელებთ
სამყაროს სუნთქვას.

იცი, ხმით ვიგებ
სხივების რხევას.
ვიცი, სიზმართა
სხეული გმოსავს.
შენ განგიცადე
და შენ ახლა მე ვარ.
წინასწარმეტყველს,
და მეფე მგოსანს

შენი სიყვარულის
სიმშვიდე დამაქვს.
შენი ხელისგული
ჩემსაზე მიდევს.
წამი წამს მისდევს
დროც იხდის კაბას.
ფერებს ვამსგავსებ
ბგერებს და რიცხვებს

და თუ ვარსებობ
შენთან ვარსებობ.
ჩვენი შვილების
სამი სინათლეც
ამომისრულდნენ,
გახდნენ საერთო,
შენთან ყოფნა მე,
როცა ვინატრე.

დ. შ თებერვალი 2015

*

ხვალიდან ამინდი
ალარ იქნება.
ქვეყნიერებიდან
გაქრება ამინდი.
თუ იმედები
იქცნენ სიზმრებად
და თუ ჩვენი გზაც
ალარსად მიდის.

თუ ველარ ვხედავთ
სახეს ერთმანეთის.
თუ ალარ ისმის
არც ჩვენი სუნთქვა.
ჩვენ აღარაფერს
არ ვემსგავსებით,
თუ გინდ პასუხი
კითხვებზე უთხრან

ვარსკვლავთმრიცხველებმა
ყველა აქმომსვლელს.
ყოველმა მათგანმა
თუ გინდ გაიგოს,
როგორ ქრებიან
წლები სხვა დრომდე,
რა არის შენი
და რა არის საერთო.

ხვალიდან ამინდი
ალარ იქნება.
გგონია ვბოდავ?
როგორ გელიმება.
თუ დღის ჩრდილები
ლამის სხივებთან
საერთოს ნახავენ
და შებინდებაც,

თუ კი სხეულის
და სულის გავლით,
კვლავ შეაერთებს
წარსულს აწმყოსთან
და თუ მომავლის
წინათგრძნობანი,
აქვე იფრენენ,
როგორც ამბობდა

დიდი მისანი
ოქროს ბაგეებით,
მისი სიმშვიდე
სულ მემთვარება
და თუ ავიფრენთ
არ დავეცემით,
ფრენა გვაერთებს
ჩვენ ერთმანეთთან.

დ. 7 თებერვალი 2015

*

ახლა შეთრთოლება
ჩვენივე სუნთქვის,
გვანახებს გასასვლელს
ერთმანეთისკენ.
იქ ჩვენი ყოფნა
არავის უკვირს.
იქ შეგვიყვარეს
და შეგვისიტყვეს.

სიკვდილი მორჩა.
აღარ არსებობს.
მორჩა სიჩუმეც

სიკვდილის შემდეგ.
რადგან მუსიკაა
ჩვენი სამკვიდრო.
რადგან სიცოცხლეა
სიკეთის მეკვლე.

დ.18 თებერვალი 2015

*

ვაჟამ ასე თქვა:
„ამოდის ნათდება“
თავისი გულისხმით
ღმერთი იგულისხმა.
ათასწლეულნი
იქცნენ წამებად.
გაქრა ყველაფერი
და კვლავ სიჩუმიდან,

ისევ ამომშვენდა
ყოველი ჩვენგანი.
ისევ გარდავსახეთ
სუნთქვანი ნატვრებად.
ფიქრი ავიმალღეთ
და ღმერთს მივემგვანეთ,
როგორც ვაჟამ თქვა:
„ამოდის ნათდება“.

დ.19 თებერვალი 2015

*

ერთვიან რიჟრაჟის
ნისლები ფერდობს.
ზღაპრებს გვიყვებიან
და ნამდვილ ამბებს.
მინდა ერთმანეთს
თვალეში შევხედოთ,
მინდა ერთმანეთის
პირისპირ დავდგეთ.

ჩვენი მსურს სახელი
იმ ნისლებს ერქვას.
ნისლებს სიჩუმენი
სულში უთრთიან.
გაჩუმდა სამყარო
და მისი სევდაც,
რადგან სიჩუმე
სიყვარულია.

დ. 23 თებერვალი 2015

*

თუ კი რამ იხარებს, შენთვის იხარებს.
კითხვებზე პასუხი ყველა გსურს იცოდე.
სინათლე მიყვება საკუთარ სინათლეს,
გახსოვდეს არ კვდები. აგრძელებ
სიცოცხლეს.

თუ კი რამ არსებობს, შენთვის არსებობს.
წინასწარმეტყველს, ღმერთსა თუ მგოსანს
და ანგელოზებს ბევრი აქვთ საერთო,
გახსოვდეს სული ხარ. სხეული გმოსავს.

დ. 3 მარტი 2015

*

ყოველთვის მიყვარდი.
მე შენ მიგიღე. სულის
ხმოვანება ამდის სურნელეზად,
სახეზე სიმორცხვის ჩუმი
სინითლე, ჩემი ბავშვობიდან,
როცა მახსენდება.

დ. 5 მარტი 2015

*

შენი შიშველი სიჩუმე მიყვარს.
შენს შიშველ სხეულსაც ამიტომ
ვიყვარებ. არ წამომცდება არც
ერთი სიტყვა. შიშველი მიყვარს
სიმართლის სიმწარეც.

დ. 5 მარტი 2015

*

ნამით დაიწყო და ნამითვე
მორჩა, ჩემი ტივტივი ღმერთის
სიზმარზე. შემომთავაზეს ამქვეყნად
ყოფნა, ხორცი შევისხი ...
და დავიბადე.

ნამით იყო და არა იყო
რა, გზად განვეშორე მე ჩემ
სამშვინველს ... და ისევ ღმერთმა
როცა მიპოვნა, გარდავიცვალე,
ხორცით გავშიშვლდი.

დ. 7 მარტი 2015

*

ჩემი სახელი მსურს ვარსკვლავს
ერქვას, ხიდსა და ბალსაც სადაც
მე მიყვარს, განმარტოება და
გულის ფეთქვა სადაც სიჩუმეს,
ჩემივე სიტყვად

ერთვის და მუსიკა გაისმის
იქვე, ჩვენ ერთმანეთი სადაც
ვიცანით და სუნთქვაც ისმის
და დროც ქრობას ინყებს
და სიმშვიდეა ზეციდან
მინამდე.

დ. 7 მარტი 2015

*

ის ნისლიც გაქრა იმ მთის გადაღმა.
გაქრა სიცხადე. გაქრა სიზმარიც.
ჩვენც მეგობრები უკვე აღარ ვართ.
იქნებ არც ვყოფილვართ,
როცა ვიყავით.

დ. 21 მარტი 2015

*

მთვარე შიგნიდან ცარიელია.
მთვარე ხელოვნურადაა შექმნილი.
სიცარიელეში გამდიდრდებიან
ჩვენი სხეულები, ჩვენივე პირით

სიტყვანარმოთქმულნი, წარჩინებულნი.
მე სადაც გინდა დავრჩები შენთან.
ჩაძინებული შენივე სიზმართან.
მთვარესაც სულივით თუ რამე ედგა

წავიდა მისგან და დააცარიელა
დედამიწის ახლოს არე სათვალთვალო.
ზეცაცარიელი გაქრა წამიერად.
ვარსკვლავი მომინდა ყველა
გადავთვალო.

ისინი იმდენი, იმდენი არიან
რამდენი სუნთქვაცაა ჩვენგან ამოსული.
სული უწმინდესი სამოთხის ბალიდან
ჩვენში ჩაბერილი, მშვიდი და სრული

მიგვენათება ერთმანეთისკენ.
მთვარის ცარიელი სხეულის გავლით.
სადაც ნატვრები სრულყოფას ეღირსნენ.
შუქის კვალდაკვალ ჩრდილების კვალიც

სადაც გაქრება, გადაინათებს.
ხოლო ხელოვნურად შექმნილი
მთვარე, მხოლოდ და მხოლოდ
და მხოლოდ სინათლეს,
დაიტევს წამით და დაამთავრებს.

დ. 24 მარტი 2015

*

სიტყვები სინათლის სიმბოლოები,
იბადებიან, ცოცხლობენ, ქრებიან.
მიყვარხარ იცი. იცი მეყვარები.
შენია ჩემი ხმა. სიჩუმეც შენია.

ვერავის გადარებ, სულის და გულისსწორს.
ინვი შენ ჩემში გულისხმის ნატვრებად.
დიდება ჩემს ვარსკვლავს, სრულყოფას
გულისხმობს, ერთხელ და სამუდამოდ
ცას როცა აწყდება.

დ. 10 აპრილი 2015

*

სევდა იბადება ახლიდან,
როცა იკეთებ საყურეს,
როცა სახლიდან გადიხარ
და მე ფანჯრიდან დაგყურებ.

დ. 25 აპრილი 2015

*

არ აქვს მნიშვნელობა
აღარც ერთ სიტყვას.
სახლი ხესთან დგას.
ხე დგას ქუჩასთან.
მნიშვნელობა აქვს
თუ კიდევ გიყვარს
და კიდევ უფრო,
თუ მას უყვარხარ.

დ. 2 მაისი 2015

*

სანაპიროს გასწვრივ
მწკრივი შენობების.
ფანჯრებში აქა-იქ
შუქი ანთია.
არაფერი ხდება
როცა ელოდები,
როცა გგონია
ჯერი სხვაზეა.

დ. 5 მაისი 2015

*

ნელისპირას დაჯდები
და ისე დაიკვდი.
გაიგებ საიდუმლოს
შენივე ცხოვრების.
თუ ახლა გახსოვარ
მადლობა ამისთვის.
საქმე კი ისაა
თუ გემახსოვრები.

დ. 6 მაისი 2015

*

გზა დაგანახებს
ხმაურს და სიმშვიდეს.
ის ვინც გზას განლევს
ზეცას მიაღგება.
ჭეშმარიტებას
თუ გზად მიიჩნევს,
ხოლო ღვთის სიტყვებს
ადამიანებად.

დ. 8 მაისი 2015

*

მომავალს წაიკითხავ
ძველი წარწერიდან.
ანმყო გაჩვენებს
ბედის სისრულეს,
როცა აპატიებ
ვინც შენ განყენინა,
თავს იმავე წამს
გაითავისუფლებ.

დ. 9 მაისი 2015

*

თავიდან იწყებ
ყველაფერს ერთად.
გადარჩენისთვის
ყოველდღე იბრძვი.
რადგან სიკეთეს
ვერაზინ ხედავს
და თუ ხედავენ
არ სჯერათ მისი.

დ. 9 მაისი 2015

*

ვარსკვლავი, პოეტის
შეიბამს სახელს.
სუნთქვას საკუთარს
შენსას შეახებს.
უცებ, ერთ ნამში
ზეიმად აქცევს
მთელ შენს სამყაროს,
ირგვლივ ყველაფერს.

დ. 10 მაისი 2015

*

გადართვალე
ვარსკვლავი მეასე.
ტყეებმა იციან
მთვარეს რა სევდა აქვს.
დრო გადის, გგონია
სანადელს ვერ აღწევ.
თუ გზას აგრძელებ
მთავარი ესაა.

დ. 11 მაისი 2015

გვან სე

გაღიმებისას
სიმშვიდე გშვენის.
შენს გაღიმებას
სევდაც კი ახლავს.
ზოგჯერ გავს ცას,
სიმშვიდე შენი.
ზოგჯერ კი
ცაზე მონყვეტილ
ვარსკვლავს.

დ. 15 მაისი 2015

N.S. Black

სიჩუმეს უსმენ
ლამის ფერდობიდან.
ლამის საიდუმლო
ბგერებად იპნევი.
ჩრდილები, როგორც
სიზმრებს ეფლობიან.
კოცნად ტოვებენ
მძივებს სიბნელის.

დ.15 მაისი 2015

პარია

როცა დადიხარ
შენ თითქოს ცეკვავ.
გამოხედვა გაქვს
სინათლით სავსე.
გვერდით ჩამიარე
და განათდა დღესაც
და დერეფანშიც
სხივები განწნენ.

დ.15 მაისი 2015

*

მთელი ცხოვრება
ერთ ნამში გავა,
მაგრამ სავალი
ჯერ კიდევ ბევრია.
ერთად ერთი რამ
განიჭებს ძალას,
სადაც მიდიხარ
შენ იქ გელიან.

დ.16 მაისი 2015

ქათოს - სიჩუმე

სიჩუმე იშლება
კოცნა-სიმღერებად.
სუნთქვას გიოქროვებს
ბგერებთან ერთად.
შენი სიმშვიდიდან
ჩემსკენ ირეკლება,
შუქი, რომელიც
ვარსკვლავებს ედგათ.

დ.16 მაისი 2015

ანდრია ღილა პაჩიან

ღამემ
დილისკენ დაიგვიანა.
სიზმარი ცხადდება,
შუქი აგავსებს.
მწვერვალზე დადგები
და იქიდანაც,
გზას გააგრძელებ
ახალ აღმართზე.

დ.16 მაისი 2015

გეგა

მხოლოდ სიმართლე გაქვს
სულის სიშიშვლედ.
სიყავრულია
შენი სამოსიც.
სამყაროს შეცვლი
თავს დაიმშვიდე,
როცა სიცოცხლის
მიზეზს ამოხსნი.

დ.16 მაისი 2015

*

ზოგჯერ განურჩევლად,
ზოგჯერ გადარჩევით,
წამი წამსა და
წუთი წუთს მისდევს.
დრო მაღე გადის,
ეგ არაფერი,
დღეს მთავარია
თუ გჯერა ისევ.

დ.17 მაისი 2015

*

ამდენი წლის მერე
ჯერ შუქი არ ჩანს.
რა არ ეცადა
სამადლოდ მიწის.
ძნელია გაძლო აქ,
ამდენ შურიანთან.
თანაც როგორ ძლებ
თავად არ იცი.

დ.19 მაისი 2015

*

სინათლე ეფინება
შენს წითურ თმას.
სიმშვიდით ამკობ
სამყაროს სიჩუმეს.
მთელი საუკუნეც
იმ წუთს ჰგავს,
ხმაურს რომ ეტრფის
და თავს იჩუმებს.

მთელს შენს ცხოვრებას
ფოტოსურათებზე,
წამში გადაითვლი,
გაგელიმება,
ანმყო მომავალს
წარსულს უანდერძებს,
დილის სიჩუმედ,
ლამის ფიქრებად.

დ.19 მაისი 2015

*

ხან მაინც გჯერა.
ხან იმედს კარგავ.
წყალსაც ხანდახან
მიჰყვება ქვიშაც.
მე ისევ გეტყვი -
მიყვარხარ, რადგან,
ჩემთვის ეს სიტყვა
ყველაფერს ნიშნავს.

დ. 24 მაისი 2015

*

სულს სიხარული
მთლიანად გივსებს.
განა რამეა ქვეყნად
შემთხვევით.
მთელი სამყარო
ინათებს ისევ,
ბედნიერები,
როცა შევხვდებით

დ. 24 მაისი 2015

*

ახლა ღამეა.
სულს ფენ მთვარესთან.
გგონია მოგკლეს
ან შენ მოკალი.
სიზმარი
მალე გადამთავრდება
და გაიღვიძებ
ისევ ცოცხალი.

დ. 24 მაისი 2015

*

ვარსკვლავი მონყდა.
წავიდა.

გზად სუნთქვა ჩემი
მან გაიყოლა.

ვინყებთ სიცოცხლეს.
თავიდან.

არა იყო და
იყო რა.

დ. 24 მაისი 2015

*

დღეს შეიცვლება
ბევრი რამ ირგვლივ.
ვარსკვლავი შენი,
ბედს მიეგება.
უყვარხარ. გიყვარს.
თესავ და იმკი.
აკეთილშობილებ
ქვეყნიერებას.

დ. 24 მაისი 2015

*

ვინც კი მაცნეა
კეთილი ამბის,
მას თაიგულებს
ესვრიან.
ფხიზლად იყავი,
დრო მალე გადის
და ყველაფერი
ტესტია.

დ. 25 მაისი 2015

*

მთვარესთან ადგმული
სიზმართა კიბე,
აღმა ააღამებს
ცის შუქებს.
სადაც არ უნდა
იყო ან ქმნიდე,
გისურვებ სიყვარულს,
გისურვებ.

დ. 25 მაისი 2015

*

ვინ იცის რა,
როდის ან როგორ,
მტვერად იქცევა
ან სულ იქნება.
ვინ იცის სად,
ჩვენ გვძინავს მხოლოდ,
ერთმანეთს ვხედავთ
სიზმრებად.

დ. 25 მაისი 2015

ქრესტ ჰეინიგჰაუი

ზღვაში ნაბიჯებს
ფანტავს შხეფებად.
სროლა არ უნდა
და მაინც ისვრის,
ამ დროს სამყარო
ნამში ეტევა
და ის წამიც კი
ბევრია მისთვის.

დ. 26 მაისი 2015

უილიამ ფოლკნერ

განუსრულებელ
თაობებს ითვლის
მისი მდინარის
მშვიდი დინება.
ქალის და კაცის
მდინარი ფიქრი,
განუდინებელს
განედინება.

დ. 27 მაისი 2015

ჯონ სთაინბექი

მარტოდ აჰყურებს
სამყაროს მნათობს.
ხალხთა ცოდვები
ღმერთს დაეკისრა.
დიდ ამერიკულ
იმედებს ათოვს,
ზამთარი ჩვენი
მღელვარებისა.

დ. 27 მაისი 2015

ჯერო ღვილ სლინჯერ

ის კარს მოხურავს
და გარეთ გავა.
მას სურს იცოცხლოს.
მას სურს სუნთქავდეს.
გზად დააყენებს
ყირაზე ქალაქს.
სიცოცხლეს მისდევს
გულისგულამდე.

დ. 27 მაისი 2015

Pink Floyd

მთვარის გარშემო
სიზმარი ბრუნავს.
ისევ შევხვდებით
ლხინის სუფრაზე.
მათი ბგერების
არქიტექტურა
მთელ სამყაროში
მოიგუმბათებს.

დ. 28 მაისი 2015

*

გინდა ათასჯერ.
გინდა რამდენჯერაც.
ფიქრობ ზღვარზე ხარ.
დასრულდა. მაგრამ,
ნაბიჯს გადადგამ
და გზა გაგრძელებს.
ნატვრას აიხდენ,
ან აქ და ან სხვაგან.

სიცოცხლე გზაა.
შენგან - შენამდე.
ლამე დღესა და
დღე ღამეს ყლაპავს.
როცა პატივბ
ყველას ყველაფერს,
შენი ცხოვრებაც
მიაგავს ზღაპარს.

სიკვდილიც გზაა.
შენიდან - შენკენ.
მარტო ვეღარ ძლებ.
სიყვარულს ელტვი.
სიზმრებიც მწიფე
ვარსკვლავებს კრეფენ
და გზა გრძელებს.
ეს გზაა ღმერთი.

დ. 29 მაისი 2015

*

ყვირილი გესმის.
სადღაც იქიდან.
იქ კაცს გაუსწორდნენ.
წიხლებით შედგნენ.
შენ ბრაზი გიპყრობს.
მათკენ მიდიხარ
და ის სიბნელეც
მოინევეს შენსკენ.

მარტო ხარ ასე
და მაინც იბრძვი.
გინდა გადარჩე.
სხვაც გადაარჩინო.
ლამითაც, წამით,
თვალს მოკრავ მზის სხივს.
დაუჯერებლად,
მაგრამ თვალსაჩინოდ.

გზას მაინც აგრძელებ
თითქოს უიმედო.
აღარც აღარავინ
აღარ განუგეშებს.
აღმართს ადგახარ
გინდა გული გენტოს,
სიმშვიდეც ეფინოს
მთლიან ზეცისქვეშეთს.

გინდა განასხვავო
სიმართლე მითისგან.
გინდა შენს გზაზეც

მეგზურნი შეგხვდნენ,
დაჟინებული,
მიზნისკენ მიდიხარ.
ისიც ასევე
მოიწევს შენსკენ.

დ. 30 მაისი 2015

*

მთელი სამყაროს
სიკეთის ნებით,
ძველი მეგობრის
ღია თვალებიდან,
ისევ შუქი გცემს,
შენც ისევ ხვდები,
მთელი ცხოვრება
როგორ ჰყვარებიხარ.

დ. 31 მაისი 2015

*

ურთიერთობებში
სიყალბეს ცოცხლად,
ასე უამრავი
სახლ-კარ-ეზოდან,
მაშინაც იგრძნობ,
იხსენებ როცა,
არც ისე გიყვარდა
როგორც კვნესოდა.

დ.1 ივნისი 2015

New York City Dance

გესმის ქალაქის
ყველა სიმღერა.
ის ყველა საზღვარს
უკვე გადასცდა.
ის ცეკვას იწყებს
და შენც გინდება
ალარ ნახვიდე
მისგან აღარსად.

დ. 1 ივნისი 2015

*

ჩვენი მახსოვრობა
წამის გარინდება.
მოგონებათა
ბევრი კარებია.
გახსნი რომელიმეს
თვალწინ დაგიდგება,
ვინც კი ოდესმე
ერთხელ გყვარებია.

ვინც კი შენს სულთან
ყოფილა ახლოს.
დროს თავის სხეული
წამებად ცვივა.
თუ კი ახსოვხარ
და თუ შენც გახსოვს,
ყოველი მათგანის
გულში გაქვს ბინაც.

დ. 2 ივნისი 2015

*

როგორი ბუნებაც
შენს სულს ენება
ისეთი გექნება
სუნთქვაც, ცხოვრებაც.
ზოგი ააფრქვევს
ნელსურნელებას,
მზის ქვეშ როცაა,
ზოგიც ყროლდება.

დ. 2 ივნისი 2015

ზღვა და შინა

ხედავ? დრო გადის.
პეპლები ფრენენ.
გესმის? სიჩუმე
მთათა შეფიქრების.
ალარაფერი გამოვა მერე,
ერთხელ და სამუდამოდ
თუ არ შევრიგდებით.

ხედავ? ზღვის დონე
დანევას იწყებს.
გესმის? მინაც კი
გვეცლება ფეხქვეშ
და თუ გავუძლებთ
ვიცოცხლებთ ისევ,
სიცოცხლისა და
სიკვდილის შემდეგ.

ამ წამსაც ასეთი
ჟამი დგას ჩვენთვის.
ახალი ღვინით
ჩვენ დოქებს ვავსებდით.
ზღვაცა და მინაც
ჩვენს გულებს ერთვის,
თუ მათ განვიცდით
მთელი არსებით.

დ. 2 ივნისი 2015

Brazenhead Books An Underground Bookstore In New York City

სარდაფის სიბნელეს
შუქი ესიტყვება.
გაჩვენებს იგი
გზასა და სამოთხეს.
ასხმული სიტყვები
სხივებზე მძივებად,
მინისქვეშეთის
სიჩუმეს ათრთოლებს.

სადაც იციან
შენ რაც გჭირდება.
სადაც უყვარხარ
ისეთი ვინც ხარ.
სადაც თვითონაც
იპნევი სიტყვებად
და სად სიცხადეს
ამგვანებ სიზმარს.

დ. 4 ივნისი 2015

ლუჩი მუქი ლუჩი

ლურჯი. მუქი ლურჯი.
წარმოიდგინე ღამეა.
მუნჯი ხარ ახლა. გამუნჯებს ღამე.
ახლა შენს წინაშე თვალებს დახრიან
და წავლენ ისინი, შორს სადღაც წავლენ,

ყოველნი ვინც კი შენ,
გულს ადრე გტკენდნენ.
შენ მათ შესახებ არავის უთხარი,
შენ ახლა იტყვი: „წადი, მეც გიშვებ.“
ამოისუნთქავ თავისუფალი.

დ. 5 ივნისი 2015

*

გჯერა თუ არ გჯერა
კაცის და ღმერთის,
მნიშვნელობა აქვს
გულს ვისთან შეახებ.
თუ გსურს მოსმენა
ახლავე გეტყვი,
სიცოცხლისა და
სინათლის შესახებ.

სინათლე შენშია,
შენს ფიქრებს ავსებს.
შიში გიქრება.
დგები და მიდიხარ.
თვითონ ხარ ღმერთი,
ყველა შენს გზაზე.
სადაც რა მთავრდება
ინყება იქიდან.

დ. 7 ივნისი 2015

მწვანე მუქი მწვანე

მწვანე. მუქი მწვანე.
ნარმოიდგინე დილაა.
გაოცებს დილა. ის გულს გიხარებს.
წავლენ ხმაურნიც, შორს სადღაც წავლენ,
შენსავით სიმშვიდე ნეტავ კი ვისა აქვს,

როცა ცაცა და ზღვაც ერთად ღელავს,
ძრწის ყოველი დღე სიცხადე-სიზმრიან,
როცა ყოველთვის ყველაფერს ყველას,
პატიებ რადგან, მეტი შეგიძლია.

დ. 7 ივნისი 2015

*

გმირი გმრობით
გვირგვინს იანდერძებს.
სხვა მისი ბოლმით
დაცინვას იწყებს.
თან ნაწყენდება
მზისფერ სინათლეზე,
როცა კი დასდევს
საკუთარ ჩრდილებს.

დ. 8 ივნისი 2015

*

შენში ყველაფერი
მხიბლავს და მომწონს.
ერთი გული მაქვს
შენით ერთგული.
სიმშვიდე ხდება
სინათლე როგორც
სიჩუმე მღერის
სიტყვით შემკული.

დ. 8 ივნისი 2015

*

დროსა და სუნთქვას
ვერსად წაუხვალ.
ყოველი წამი
შენს სუნთქვას ერთვის.
დღეს დღე გექნება
დღესასწაული.
თუ რამ მოხდება,
მოხდება შენთვის.

დ. 9 ივნისი 2015

New York In You

ეტრფი ხმოვანების
თითო თითო ხმას
და იმედების
მწიფე ვენახებს.
ქალაქი შენშია.
ის შენ თვითონ ხარ
თუ ერთხელ მაინც
მის კარს შეაღებ.

ეტრფი და გეტრფის
და არსად სხვაგან,
ასე არა გრძნობ
წამად ყოფნის დროს,
შენ ყველა გამვლელს
შენს სუნთქვას ატან,
ყველა შემხვედრში
თავს ამოიცნობ.

დ. 9 ივნისი 2015

New York Now

აქ სულ ანმყო.
მომავლის დროა.
შენ რაც არა გსურს
ნამში გაგმორდება.
გულით თუ გინდა,
ის შენთან მოვა,
მოყოლებული
თუნდაც ბავშვობიდან

ვარსკვლავებიან
ჭერს ეტრფი დღემდე.
გარდაგესახა
სიცოცხლე ჩვევად
და რაც არ უნდა
მჭერმეტყველებდე,
სათქმელი ზოგჯერ
უთქმელი გრჩება.

დ. 9 ივნისი 2015

ყვითელი ოქროდ ყვითელი

ყვითელი. ოქროდ ყვითელი.
ნარმოიდგინე ახლა შუადღეა.
ყველა შენი საქმე ბრწყინვალედ აღსრულდა.
ახლა შვებებს გრძნობ და წინ მიდიხარ,
რადგან აღარ გაქვს საქმე წარსულთან.

დ. 9 ივნისი 2015

ნარინჯი სევდის ნარინჯი

ნარინჯი. სევდის ნარინჯი.
ნარმოიდგინე ახლა სადამოა.
დადინჯდი. ჯილდო მიიღე.
ცუდი ამბები ჩიტებს აღარ მოაქვთ.
სამყაროს ხმაურიც გექცა სიმშვიდედ.

დ. 9 ივნისი 2015

წითელი გუჯი წითელი

წითელი. მუქი წითელი.
წარმოიდგინე ახლა რიჟრაჟია.
სუთქვაზე მინერილ სიზმარზე იწეკი.
თუ რამ განუხებდა კვლავ სიზმარს მიაქვს.
თვალწინ შუქი გაქვს წინმსწრები სხივების.

დ. 9 ივნისი 2015

იასამნისფერი მუქი იასამნისფერი

იასამნისფერი. მუქი იასამნისფერი.
ნარმოიდგინე შუალამეა.
ზეცის ბინადრები, აქვე სულ ახლოს,
თუ სადმე ბინადრობენ შენშივე სახლობენ
და, როცა გიყვარს, შენშივე მღერიან.

დ. 11 ივნისი 2015

ხისფერი ღია ხისფერი

ცისფერი. ღია ცისფერი.
ნარმოიდგინე იღვიძებ.
გესმის სურნელება კაკლის და თაფლის.
დრო ისევ გადის ... და შენ გიხარია.
მშვენიერია სიცხადე ცისფერის.
გულს თუ რამე გტკენს, ცუდი სიზმარია.

დ.11 ივნისი 2015

პარლისუარი ღია პარლისუარი

ვარდისფერი. ღია ვარდისფერი.
წარმოიდგინე დაფრინავ.
აგდის სურნელება ხმათა გარინდების.
კედლები ქრებიან და შენი სახლიდან,
როცა კი ნაბიჯის გადგმას აპირებდი,
ფეხი დაადგი ჰაერს და ისიც,
გადაგესუნთქა საფეხურებად.

დ. 12 ივნისი 2015

თეთრი უსასრულო თეთრი

თეთრი. უსასრულო თეთრი.
წარმოიდგინე სული ხარ.
გეტყვი: სხეული, შენ აღარ გმოსავს,
შენ კი სხვას ეტყვი, ვისი გულიდან
სინათლეს იგრძნობ და ღმერთის მგოსანს
სიტყვები, როგორც ხელთემნიფება,
ისე აჯობებ სივრცეს და დროსაც,
მიმოიპნევი სხივებად.

დ. 12 ივნისი 2015

შავი უსასრულო შავი

შავი. უსასრულო შავი.
წარმოიდგინე შენსას მიაღწიე.
გული ცრემლებიდან გამოიმშრალე.
სამოთხე ეჩვენება თვალების სანიერს.
თან კი სიშორიდან შუქი ფენს შავეთს.

ახლა ის შუქი მთელი არსობით,
შენში მარტოობს, შენ ხმა მოგესმა
სასწაულების ... შენ მათ ნატრობდი
ან ღმერთს ანდობდი თუ კი ოდესმე.

დ.12 ივნისი 2015

ნაცრისუარი. მუქი ნაცრისუარი.

ნაცრისფერი. მუქი ნაცრისფერი.
ნარმოიდგინე აღმართზე ადიხარ.
განცვიფრდები მწვერვალზე დგომისას.
იქიდან იხილავ სხვა მწვერვალებსაც
და თუ იმათზეც გასურს ახლა იდგე,
დაღმართით მოგინევს დაშვება ისევ

და უსასრულო ასვლა-ჩამოსვლით,
შენს ამოსუნთქვას ჩასუნთქვა
მიჰყვა. როგორც განიცდი ისე
გამოგდის, გულიდან ხმა
და სულიდან სიტყვა.

დ. 13 ივნისი 2015

21 ივნისს

21 ივნისს
ვარსკვლავი დადგა,
ბუნიობაზე
შუქის წყაროდან.
ჩაძინებისას
ის გაქრა სადღაც.
გალვიძებისას
ისევ გამოჩნდა.

მე ამ დღეს გავჩნდი
და ჩავისუნთქე,
ჩემი სამყაროს
ხმა, შინაარსი
და შევიმოსე
სხივთა საშუქედ,
თავი გარუქე,
ღვინოდ დავასხი.

დ. 21 ივნისი 2015

ახლა სიბნელეში

ახლა სიბნელეში
მე ცუდად ვხდები
და მარტოობის
შიში დამყვება.
ისევ ის ქვები,
ნაცნობი ქვები,
ყოველთვის,
ყველა დროს
რჩებიან ქვებად.

დასალიერზე
შუქი გამოჩნდა.
ის ჩემგან მოდის
და თქვენ
გეფონებათ.
მე არ მახარებს
საცოდაობა
და არც სიმართლე -
თქვენი შეცოდება.

ვინც აქ, სიბნელეში,
თავს მშვენივრად
გრძნობთ,
კმაყოფილდებით
სუფრის ნარჩენით.
მე იმ ნამს ველი,
ნამსვლელი,
იმ დროს,
როცა ინათებს
და თქვენ გაქრებით.

დ. 26 ივნისი 2015

თინათინო

სამყარო ნათდება,
როცა იცინი.
ვისაც უყვარხარ
სიტყვებით შეკრებს
ყველა შენს ღიმილს,
სუნთქვას სიმშვიდის,
შუქზე შეაბნევს
სიჩუმის მეკვლედ.

დ.15 ივლისი 2015

ხათუნა

ეტრფი დასავლეთის
შორეთს და დაისს
და სიბნელეში
შუქის ნარჩენებს
ექებ, პოულობ,
კარგავ და მაინც
გჯერა და გიყვარს
და გზას აგრძელებ.

დ. 16 ივლისი 2015

ნიშნ

როცა ჩემ წიგნში
ლექსები შეგყავდა,
წესით და რიგით
მათ თავს უყრიდი,
სიჩუმეს გავდი.
სიჩუმეს ვენახთა.
რთველს ვინც
ამნიფებს,
შუქთა უხვი
ხმით.

დ. 16 ივლისი 2015

ჯული

სიბრძნეს ყოველთვის
სიმშვიდე ახლავს.
მე ვნახე ახლა
მისი სინაზეც.
მისი ხმა ჰგავდა
სიზმართა ნაწნავს,
როგორც ზაფხული
გადაიზამთრებს.

დ. 16 ივლისი 2015

მე შენ ყოველთვის

მე შენ ყოველთვის
მეყვარები
და თუ არ მეყვარები
ესე იგი ის არ ვარ მე.
სიყვარული ყოველთვის
იმარჯვებს
და თუ არ იმარჯვებს
ესე იგი ის არაა
სიყვარული.

დ. 30 ივლისი 2015

I will always love You.

I will always love You.
If not,
It won't be Me.

Love always wins.
If not,
It won't be Love.

DD July 30, 2015

ანა

ანა. ენი.
შენ ყველაფერი
კარგად გექნება.
დღენი და ღამენი
უსიტყვოდ დამუნჯდნენ.
განა სინათლენი
დღეს იქცნენ ფერებად,
არა, შენშია
შუქიც და საუნჯეც.

დ. 5 აგვისტო 2015

ვინ ვიქნებოდით

ვინ ვიქნებოდით
უერთმანეთოდ.
ჩვენი გულები
ვის ერგებოდა.
ღმერთს
ვარსკვლავები
რომ არ აენტო,
რომ არ გვხედავდეს
ღმერთი ზემოდან.

დ. 6 აგვისტო 2015

ნანუკა

მტვერსა და სიზმარს
ნიგნის ფურცლების
შენს სულს უბერავ
შუქისფერფრთიანს,
შენ გელიმება,
თავისუფლდები,
ცისარტყელები
ღიმილზე თრთიან.

დ. 8 აგვისტო 2015

იუჩი

გმადლობ მეგობარო
ძმობა მაჩუქე.
დიდ გზას ვადგავართ,
ორივემ ვიცით.
ცხოვრებისაგან
ვიღებთ საჩუქრებს,
დროის მანქანა,
წელი, თვე, რიცხვი,
კარგავს მნიშვნელობას.
დრო მიდის ჩვენგან
და ძმობის გარდა
სხვა რა არსებობს,
დაე მსოფლიოს
სამოთხე ერქვას,
გზად დავიმგზავრებთ
ყველა ანგელოზს.

დ. 8 აგვისტო 2015

ფელიქს

ძმა ხარ. მე და შენ
ომის დროს შევხვდით.
ძმა ხარ. ომია.
ომი არ მთავრდება.
ძმა ხარ და დგახარ
მთიებზე ზევით,
სად დღელამენი
იქცნენ ზღაპრებად.

ახლა ძმებისთვის,
სულით და სისხლით
და სამშვიდობო
ღმერთის წინაშე,
ჩვენთვის ერთია
ვიფრენთ თუ ვივლით,
ჩვენი ვარსკვლავიც
ერთად ინათებს.

დ. 8 აგვისტო 2015

ირაკლი ღიე

ამქვეყნად ყოფნა
ერთად ვისწავლეთ.
ადიხარ, მნათობ,
სამყაროს სხვენთან.
ბრწყინვალე გონება.
სული ბრწყინვალე.
გაჩენის დღიდან
მე შენს შუეს ვხედავ.

გულში ორივეს
ვარსკვლავი გვინთია.
ვიცით ყველაფერი
თუ რამ გვსურს ვიცოდეთ.
ჩვენ ხომ ძალას ვფლობთ
მნიფესიტყვიანს.
მნიფე სიტყვაა
თვითონ სიცოცხლეც.

დ.9 აგვისტო 2015

გორა USA

უძვირფასესი
სუნთქვით ამობრწყინდა
თავისუფლება
და ძალა მოგვცა.
ჩვენი ფიქრებით
თუნდაც ბავშვობიდან,
მგზავრს გზა აჩუქა
მისცა მოგვს ცა.

ჩვენი ფიქრებით
სიჩუმეს ვავსებთ.
ცაზე გაელვების
კვალი ჩანს ელვის.
მთელი სამყაროს
გულში და თავზეც,
დიდმა ვარსკვლავმა
იელვა ELVIS.

დ.9 აგვისტო 2015

ქაქი In Colors

ცოდნა გაქვს.
ხედავ უნიჭიერესს.
ვისაც საიდუმლო
ლექსები უთქვამს.
ძმობის ყველა ფერს
სულით იერთებ.
თან გულში იკრავ
პოეტის სუნთქვას.

მუქი მენამული
შუქი გაჯადოებს.
დინებას ვარდისფერს
სიმშვიდე შეჭფერის.
ევარსკვლავები
შავი დღის თაობებს.
გული უფეთქდება
ცის სხვენზე ცეპელინს.

დ. 9 აგვისტო 2015

ღეჟეზკე

დემე მომისმინე.
სხვები ვართ, მაგრამ
ჩვენ არ განვსხვავდებით.
შენ ყველაფერი
მშვენივრად გესმის.
შენ დაგყურებენ
თანავარსკვლავედნი.
სწორედ ეგაა
თვალები ღმერთის.

შენ მათ აჰყურებ
შენი თვალებით
და რასაც ხედავ
ის შენ თვითონ ხარ.
დასაწყისი ხარ
და არ მთავრდები.
სიმშვიდე გსტუმრობს
სიზმრად სხივოსანს.

დ. 9 აგვისტო 2015

ნინა ლო

ბევრი რამ გადაგხდა.
ღმერთს ვუთხრათ
მადლობა.
ქმარი გყავს კაცი
და შვილიც კაცია.
გული გიგალობს.
ყოველთვის გალობდა.
სამოსელის ნაცვლად
შენ შუქი გაცვია.

დ.10 აგვისტო 2015

გიოგანსაქათი

ერთმანეთი გავიცანით
ღამის ცანი როცა თრთოდნენ.
ღია ცის ქვეშ თქვენ სამივეს
მინდვრის ცვარი გეკრთობოდათ.
კეთილშობილება თქვენი
ყველგან შვენის ნუთისოფელს.
ოქროს მინას ტერფებსქვემოთ
გზად დაჰნათის ცაც ზემოდან.

დ.11 აგვისტო 2015

New York Lovers

აქაა ამქვეყნად
შენი ყოფნის სივრცე.
აქ შენ გყოფნის დრო.
დრო ყველაფრისთვის.
ინყებ და ამთავრებ.
ამთავრებ ინყებ.
ვისაც მშვილდი აქვს,
ისარს ის ისვრის.

ტყულების ნიშნის ქვეშ
ქალაქი გაცხადდა.
აქ ყველა შემომსვლელს
იმედი მოჰყვება.
აქ დაივანეს თავიანთ
ვარსკვლავთან,
თაობის სხივებმა,
ყოველთვის ცოცხლებმა.

დ.12 აგვისტო 2015

New York Generation

ყოველი თაობა ღმერთის სუნთქვაა.
თითო თაობა თითო ამოსუნთქვა.
თითო თაობა თითო ჩასუნთქვა.
ამქვეყნად მხოლოდ ჩვენ ასე ვცხოვრობთ,
როცა გზას ხედავ გინდა სხვას უთხრა.

დ.12 აგვისტო 2015

გზას დაადექი

გზას დაადექი.
გესმა ბედის ხმა.
გზა განასხვავებს
მითს და სიმართლეს.
ძალას, როგორც გრძნობ
შეყვარებისას.
ივლი ბოლომდე
და გაგიმართლებს.

დ.12 აგვისტო 2015

ქრისტე PhD

არისტოკრატიული
წარმოშობის ხარ.
შენ გზაზე დგახარ.
გზა არ სრულდება.
დიდი მადლი გაქვს
ღმერთიშობლისგან,
თან სისხლში გიდუღს
მგელის ბუნება.

დ.14 აგვისტო 2015

იკაკლი წინ ხა

შენ იცი რა იყო
და რა იქნება.
იცი სიცოცხლეა
სიცოცხლის შემდეგ.
იცი სიჩუმეც,
ხორცს ისხამს
სიტყვებად.
შევხვდით თუ არა,
იმნამსვე გენდე.

იმნამსვე ვიგრძენი
მე შენი სინათლე.
თანდაყოლილი
ნიჭი გაქვს
სიმართლის,
ჩვენს სამყაროში
კაცი რომ ინატრებს.
გულიც ამიტომ,
ჩვენს ძმობას მივართვი.

დ.15 აგვისტო 2015

თათია

აღმოსავლეთის
გიშერი გიზიდავს.
თავისთან გიხმობს
სიცოცხლის სიცხადეც.
როცა კი გამოგაქვს
აზრი სიზმრიდან,
მშვენიერებაც
თავს განგიცხადებს.

დ. 16 აგვისტო 2015

ნიკოლა

ნიკოლა,
რა კეთილი ხარ.
სითბოა შენში.
შუქიც წინ გეტრფის.
ცვარი ამოთრთის
დილის მინდვრიდან.
შენს სახეს მიჰგავს.
მაცნეს სიკეთის.

დ.18 აგვისტო 2015

თეოლოგიური

თქვენ ზღაპრები ხართ.
ამქვეყნად ცხოვრობთ,
ადამიანების და სხივების
შორის.

სიკეთე ანათებს.
ის ხარობს ბოლოს.
თქვენ სიკეთე ხართ.
თქვენგანვე მოდის,

სევდაც და სიმშვიდეც,
სიცილის ხმებით.
კაცს იმედს აძლევთ,
ზედ ნატვრის ხესთან.
ჩემი საყვარელი
ზღაპარი ხდებით.
მე სულ ხელს გიქნევთ
სადაც კი გხედავთ.

დ. 18 აგვისტო 2015

რამაჟორონა

შენთვის ერთგულება
სუნთქვასავითაა..
ნატვრა გითრთოლდება
ყოველ სუნთქვასთან.
ყველა შენი ფიქრი
გულთან ახლოს დააქვს,
ვისაც შენი ესმის,
ვისაც უყვარხარ.
ვისაც ახლა შეხვდი,
ერთად ერთნი გახდით.
ნმინდა ნყალი გწყალობთ,
ასე ღია ცის ქვეშ.
ერთად ისულდგმულებთ
სხივნარევი სახით,
თქვენ ხომ სიყვარული
თქვენს თავს მიანიჭეთ.

დ.19 აგვისტო 2015

შოკენა

დრომ გაიარა.
დაემშვიდობე.
შენსავით მშვიდია
ნისლი მინდორთან.
გეგონა შორს იყო
სამშვიდობომდე.
სამშვიდობო კი
თურმე თვითონ ხარ.

დ. 20 აგვისტო 2015

თაპარ Orange

დასავლეთს გაჰყურებ
და გელიმება.
შენთვის სანატრელი
იქ სიმშვიდეა.
ზღაპრულ ნატურისთვალში
გაპნეულ სხივებად,
შენი სუნთქვანნი
იქით მიდიან.

იქიდან გიხმობს
ახალი ცხოვრება.
სადად ახდება
სიზმრის სიჭრელეც.
სასწაულებიც
ისევ მოხდება.
მხოლოდ ის ხედავს
ვინც დაიჯერებს.

დ. 20 აგვისტო 2015

თათუ

შენ წვავ ილუზიებს.
სუნთქვა გაქვს თილისმად.
შუქები გიკრთიან
გიშერის ჩრდილებით.
შიშველი სიმართლე
გიყვარს და გიზიდავს.
ქარი სამხრეთის
გიხმოზს და მიჰყვები.

დ. 20 აგვისტო 2015

თაჟიო

მომავალს ხედავ
მინდვრის ცვარიდან.
ღამე გაჯადოებს
ვარსკვლავმდინარიან.
არჩევანს აკეთებ.
იცი რა გინდა.
იცი ვინ ხარ
და ირგვლივ
ვინ არიან.

დ. 20 აგვისტო 2015

ელენე ღონ

უსულო სივრცეს
გახდი სიტყვიერს.
შინაარსს მისცემ
ერთად ერთ სიტყვას.
თუ რამეს მოითხოვ
ყველაფერს მიიღებ.
ის შეგიყვარებს,
ვინც კი შენ გიყვარს.

დ. 20 აგვისტო 2015

ნიწო ჟუ

რასაც ჩაიფიქრებ
აგისრულდება.
მთვარემ შენს ირგვლივ
წრეები შეკრა.
სამი ვარსკვლავით,
სამი სურვილი
და თვითონ ღამეც,
დამშვიდდა შენთან.

დ. 20 აგვისტო 2015

ელენე ხარ

ცუდი ამბები
გაქრნენ სიზმრებად.
წამი მთლიან დროს
გვერდით ჩაუვლის.
სევდა ღიმილით,
როცა იცვლება.
ღიმილს კი მოსდევს
დღესასწაული.

დ. 20 აგვისტო 2015

ირაკლი გუბიძე Dr. Duende

ყოველთვის იქ ხარ
სადაც ყოფნა გსურს.
გზა შენი სახლია.
ბედი - მუსიკა.
გმოსავს სიჩუმე
სინათლიან სულს,
ლამე დილისკენ,
როცა გულს იკლავს.

როცა იღვიძებ,
ნიუ იორკს მზე ადგას,
როცა შენს ქალთან
ბგერის გრძნობ სინმინდეს
და როცა ერთ სიზმარს
შენ ხედავ მეთავედ,
ის აგიხდება
და გაიბრწყინებ.

დ. 21 აგვისტო 2015

ელენე სი

ნახევარმთვარის
ღამე ცრის შენს ხელებს.
ზღაპარი სიზმრისას
თვალს არ გსურს ახელდე.
შავი მინანქარის
ენაზე მეტყველებ.
ოქროშენავლები
ღიმილით სახეზე.

დ. 21 აგვისტო 2015

ღაპითინო

თქვენ ხატავთ შუქებით.
თქვენ გავხართ ნახატებს.
თქვენც შუქი გიკრთით
თქვენივე სუნთქვასთან.
თქვენ ვინც გულს გიხარებთ
იმასვე ახარებთ.
დიდებულია.
ერთმანეთს უყვარხართ.

დ. 23 აგვისტო 2015

სომალი

სომალი,
რომელსაც მე ვმართავ,
სამყაროს გაჩვენებს,
ჯერ შენთვის უნახავს.
სომალი ჩემი, მიგიყვანს
სახლთან.
თავს სად მასპინძლობ.
სადაც სტუმრად ხარ.

დ. 25 აგვისტო 2015

გარეამ ჯანჯი

დღეს ვისაუბრეთ
სინამდვილეზე.
ლამენი მიდიან
სად დღე იმართლებს.
ილუზიები,
რაც უფრო დიდია,
მით უფრო მწარეა
სიმართლე.

დ. 31 აგვისტო 2015

ქეთი გოი

მუსიკა შენი
სიზმრიდან გაისმა.
საყურეებად
სხივებს იკეთებ.
ელი სასწაულს
ადამიანისგან.
მიმონათებ
სიკეთეს.

დ. 31 აგვისტო 2015

პარიაჲ ბაღუ

სიმღერა გესმის
და გელიმება.
სიმშვიდე მისი
გზიბლავს
და გიყვარს.
სიჩუმეც ზოგჯერ
თრთის შებინდებად,
როცა მუსიკა
გაგონებს სიზმარს.

დ. 1 სექტემბერი 2015

ელისა

სახემომთვარული. წიგნებით ხელში.
სიზმრებსაც აღიქვამ სხვა და სხვა
წიგნებად. თავს შეგაყვარებს.
ჭკუიდან შეგშლის. კარგი სიზმარი.
თვალწინვე გიხდება.

დ. 2 სექტემბერი 2015

New York Crown

შორეთი ახლოსაა.
სულ ამას ვამბობ.
ერთად ახლოს ვართ.
სიცოცხლე გვახლავს.
დრო ჩვენგან გადის.
ყალბი თუ სანდო.
გვირგვინად ადგას
სინათლე ვარსკვლავს.

დ. 2 სექტემბერი 2015



Ե Ո Ս Ե **L O V E**

სარჩევი

შესავალი.....	9
გაუიხ ვერ გითხარი	18
საქუნოდ	19
ნანგრევებთან	20
ვერ წარმოიღვენ	23
ღღეღე	24
გამოქვლიქა	25
NEW YORK	26
უნა	28
Have A Nice Day	29
Union Square	31
Lexington Avenue 92nd Street Y	
1395 Unterberg Poetry Center Live	32
233 Mott Street, New York	
The Cafe by St. Patrick’s Old Cathedral School	33
The Special One	35
Bryant Square Park	36
Lincoln Center	38
Kaufman Center	39
Harlem	40
Empire State Building	42
New York Bridges	43
Statue of Liberty	45
New York Winds	46
Madison Avenue	48
Brooklyn’s Dusk	49
Brooklyn’s Dawn	51
Elizabeth Street	52
Subway	53
Mr. Diamond	54
100 Skyscrapers	56
7th Avenue	57
Radio City	59
In God We Trust	61

New York Penn Station	62
Central Park	63
Relation - In Memorial Day	64
Uptown Crossing	65
World Edition	66
Manhattan Walls	67
Broadway	68
After Party in Hotel Standard	70
Murray Hill	71
New York Secrets	72
American Glory	73
Avenue Blue	74
New York Afternoon	75
New York Victory	76
Freedom Place	77
New York Interview	78
West End Avenue	80
Hello I Love You	81
Columbus Circle	82
Barnes & Noble	83
W84 Edgar Allan Poe St	83
New York Frisbee	85
Manhattan's 12 Avenue	86
New York Days	86
Fathers Day	87
New York June 21	88
9 Days	90
May The Dreams Come True	91
New York Father Ship	92
Text Message	93
3:00 a.m.	94
Hello New York New York Goodbye	96
Yeah Baby	98
ქეთონ - აქემოუნის შინაარსს	99
ქეთონ - ზენს სიყვანიღვითან	100
სიყვარული აისად ქაგა	101
ჟოღი სიყვარული	101

საქართველოს უნივერსიტეტი	
THE UNIVERSITY OF GEORGIA	102
ქეთის - სინათლე	102
ხვლიდან აქინდი	104
ახლა შეტრთოლება	105
ვაქავ ასე თქვა	106
ერთვინან ჩიქრაქის	107
თუ კი რამ იხარავს	108
ყოველთვის მიყვარდი	109
შენი შეშველი სიჩუბე მიყვარს	110
ნაერთ ღაინყო და ნაერთვე	111
ჩვეი სახელი მსურს ვარსკვლავს	112
ის ნისლიც გაქრა იმ მთის გადაღმა	113
მთვარე შეგნიდან ტარქილია	114
სიყვავი სინათლის სიგოლოვები	115
სევლა იგაღმა ახლიდან	116
არ აქვს შნიშნელოვა	117
სანაირის განწვივ	118
წყლისაირას ღაჯღები	119
გზა ღაგანახებს	120
მოგაველს ნაიქითხავ	121
თავიდან იწყებ	122
ვარსკვლავი	123
გაღაითვალე	124
გვან ხა	125
N.S. Black	126
გარია	127
მთელი ტხოვრება	128
ქეთის - სიჩუბე	129
ანდრია ღილა ადრინან	130
გეგა	131
ზოგჯერ განწვივლად	132
ამდენი წლის გერა	133
სინათლე უფინება	134
ხან მაინც გჯერა	135
სულს სიხარული	136
ახლა ღაქვა	137

პარსკვლავი მოწყდა	138
ღღეს შეიხვლება	139
ვინც კი გახნა	140
მთვარეთან აღგული	141
ვინ იხის რა	142
ერნესტ ჰემინგუეი	143
უილიამ ფოლკნერ	144
ჯონ სთაინბექ	145
ჯერომ დევიდ სელინჯერ	146
Pink Floyd	147
გინლა ათასჯერ	148
ყვირილი გესის	149
მთელი საყვაროს	150
ურთიერთობები	151
New York City Dance	152
ჩვენი მახსოვრობა	153
როგორი გუნებას	154
ზღვა და მიწა	155
Brazenhead Books	
An Underground Bookstore In New York City	156
ლურჯი მუქი ლურჯი	157
გჯერა თუ არ გჯერა	158
მწვანე მუქი მწვანე	159
გმირი გმირობით	160
შენეი ყველაფერი	161
ღროსა და სუნთქვას	162
New York In You	163
New York Now	164
ყვითელი ოქროდ ყვითელი	165
ნარინჯი სუფილს ნარინჯი	166
წითელი მუქი წითელი	167
იასამნისფერი მუქი იასამნისფერი	168
ცისფერი ღია ცისფერი	169
პარდისფერი ღია პარდისფერი	170
თეთრი უსასრულო თეთრი	171
შავი უსასრულო შავი	172
ნახრისფერი. მუქი ნახრისფერი	173

21 ივნისს	174
ახლა სიგნალები	175
თინანო	176
ხათუნა	177
ნინო	178
ჯული	179
ვე ვენ ყოველთვის	180
I will always love You	181
ანა	182
ვინ ვიქნებოდით	183
ნანუკა	184
იური	185
ფელიქს	186
ირაკლი ღივი	187
გოგია USA	188
ქაქი In Colors	189
დედებზე	190
ნინა ლო	191
გიოგვანცხავეთი	192
New York Lovers	193
New York Generation	194
გზას დააღვი	195
პერაბ PhD	196
ირაკლი ნინ ხა	197
თათია	198
ნიკოლა	199
თეოლატოდინო	200
რამაზგორენა	201
გორენა	202
თაგარ Orange	203
თათუ	204
თაგიო	205
ელენე ღოს	206
ნინო ეუ	207
ელენე ხარ	208
ირაკლი გეგრიელ Dr. Duende	209
ელენე სი	210

დავითნიწო	211
სოქოლდი	212
ქერიწო ჯანჯი	213
ქეთი გოი	214
ქერიწო გოლო	215
ელიწო	216
New York Crown	217